

# ဒို့လှိုင်



140  
1947/2



№8

1947

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

წელიწადი 21-ე  
1947 წელიწადის  
პიონერთათა  
№ 8  
აგვისტო



# პიონერი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის  
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал  
Центрального Комитета  
ЛКСМ Грузии


(на грузинском языке)

გამომცემლობა „კომუნისტ“

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ლენინის ქ., № 28,  
ტელეფონი № 3-81-85



ქადაქ მახარაძის ქაღთა საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეების  
დაშქრობა მშობლიურ მხარეში



# მფრინავები

ლაჟვარდიდან სიყვარულით  
მშობელ მიწას დაჰხარიან...  
ყველგან მარჯვედ დაფრინავენ,  
ყველა მხნე და მაგარია.

გაბედულად სად არ იყვნენ,  
მზის შუქივით რა არ ნახეს.  
ბევრი ზღვა და ველ-მინდორი  
რკინის ფრთებით გადალახეს.

შეუპოვრად ცეცხლს უჩენდნენ  
მტრების სანგრებს, მტრების ჯარებს,—  
გაიმარჯვეს და სამშობლო  
მამაცობით გაახარეს.

დღეს ლაჟვარდში ნავარდობენ,  
ხალისობენ მზესთან ღმერთში...  
ბევრი მტერი ხმლის მოქნევას  
ველარ ჰბედავს მათი შიშით.

ბორის პეტანელი



5245





მ ო თ ხ რ ო ბ ა

ხალისიანად ატარებდნენ ზაფხულს სოფელ ჭალის მოსწავლეები. მათ შორის კარგი სწავლით სსახელი ჰქონდა მოხვეჭილი შავთვალა ზურას. საღამო ხანს, როცა უზარმაზარი ქაკლის ქვეშ ხალხი იკრიბებოდა, ზურა თავისი ზრდილობით ყველას ყურადღებას იპყრობდა და მის შესახებ ერთი თმაგათეთრებული გლეხი სიამოვნებით ამბობდა:

— ნახავთ თქვენ, რა ბიჭი დადგება ზურა! სწავლაშიც ყოჩაღია და მუშაობაშიც დიდს არ დაუვარდება, გარჯა და შრომა უყვარს.

— მართალს ამბობ, პაპა ნიკა, მართალს! კარგი ბიჭია ჩვენი ზურა, — კვერს უჭრავდნენ მოხუცს სხვებიც.

მე არ ვიცი, ესმოდა თუ არა ზურას ეს სიტყვები. ისე კი ყველა ამჩნევდა, რომ ბავშვი ძლიერ თავმდაბალი, უფროსებთან მოკრძალებული და ლაპარაკში ცოტა ძუნწი იყო. არ ჰგავდა ზოგიერთ მეტად გათამამებულ ბიჭს, რომელიც, საჭიროა თუ არა, სულ მუდამ ლაპარაკობს, ერთი სიტყვის ნაცვლად ოცს რომ გეტყვის პასუხად.

არა, ზურა ასეთი არ ყოფილა!

ერთ საღამოს ზურას სახლის აივანზე ფარდაგი გაეშალა და წიგნს კითხულობდა. კითხვით ისე იყო გართული, რომ ვერც კი შეამჩნია, როგორ ამოვიდა კიბეზე სტუმარი. ეს იყო ზურას ბიძაშვილი გაგი, რომელიც სიცხეს და გზას დაეღალა. ბიძაშვილები ერთმანეთს გულთბილად მიეგებნენ.

— საიდან მოდიხარ გაგი? — შეეკითხა ზურა.

— პირდაპირ ქუთაისიდან... სკოლიდან ექსკურსიაზე წავედით. დავათვალიერეთ ლამაზა ქალაქი. ბევრი კარგი რამ ვნახე...

ამ დროს აივანზე ზურას მამა ამოვიდა, ძმიაწულს მიესალმა და სთქვა:

— კარგი საქმეა, რომ სამშობლოს მიწაწყლის გასაცნობად გიმოგზაურია. ახლა შენი აზრებიც გაგვიზიარე, რა უფრო მოგეწონა ნახულიდან?

— მოწონებით ბევრი რამე მომეწონა, ბიძა პეტრე! რომელ ერთზე შეგჩერდი! ქუთაისის მახლობლად საავტომობილო ქარხანა

ნას აშენებენ; მალე ქართული ავტომობილიც დაიწყებს ჩვენში სრიალს. მე ამ ქარხნის შესახებ შემდეგ ვიამბობთ... უზარმაზარი და მშვენიერი ქარხანა იქნება. მაგრამ ჩვენმა ისტორიულმა სიძველეებმაც გამოაცა. დიდებულია ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები. დიდი თლილი ქვები, გასაოცარი ჩუქურთმებით შემკული, ალაგ-ალაგ ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებანი. როცა ვუცქერდი გადარჩენილ კედლებს და მიწაზე დაყრილ ჩუქურთმიან ქვებს, სიამაყის გრძობამ შემიპყრო. წარსული დიდებული გეგონია და აწმყო ხომ კიდევ უკეთესი გვაქვს, ბიძა!

პეტრე წელში გასწორდა და შენიშნა:

— მართალია! სიამაყისა და სიხარულის ეს გრძობა მეც გამომიცდია ხოლმე.

\* \* \*  
ვანშობის შემდეგ ყმაწვილებს აივანზე გაუშალეს ქვეშაგები. გრილოდა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედული. ახალგაზრდებს დიდხანს არ დაუძინიათ და საუბრობდნენ.

— რას კითხულობდი წელან? — შეეკითხა გაგი ზურას.

— უცხოურ სათავგადასავლო მოთხრობას...

— საინტერესოა?

— ძალიან. განსაკუთრებით მომეწონა ერთი ადგილი - ძვირფასი ტვირთით საგსე გემი ზღვის სანაპიროს ახლოს იღუპებოდა. მგზავრთაგან ზოგიერთებმა ხელი ჩაავლეს ოქროს ზოდებს და გადაეშენენ წყალში, მაგრამ ტვირთი მძიმე აღმოჩნდა და ლომრაგოსობა ზღვაში იძირებოდა... გემზე შემთხვევით აღმოჩნდა ერთი პერუელი, დინაპა. იგი თავისუფლად გადაეშვა ზღვაში და გაჭირვებით მიაღწია ნაპირს. იქ შეკრებილმა ხალხმა გადარჩენილს ნაპირზე ამოსვლაც არ აცალა და მამინვე ჰკითხეს:

— ძვირფასი ტვირთი არ წამოიღე?

— როგორ არა! წამოვიღე და გადავარჩინე კიდევ.

მაყურებლები ხარბად უცქეროდნენ მას და ელოდნენ, რომ ბრჭყვიალა ოქროს დაინახავდნენ.

პერუელმა ხელი უბეში ჩაიყო და ვაზის ფოთლის ოდენა ვერცხლის ფირფიტა ამოიღო. მასზე შესანიშნავი სურათი იყო ამოჩუქურთმებული, რომელსაც ძველებური წარწერა ამწვენებდა.

დინაპამ სიამაყით წარმოუსთქვა:

— ეს ვერცხლის ფირფიტა ჩემს ძველ სამშობლოს მაგონებს. ის ჩემთვის ოქროზე ძვირფასია და ამიტომაც გადავარჩინე.

ზურა გაჩერდა. გაგიმ ალტაცებით წამოიძახა:

— დიდებულია, მეც ასე მოვიქცეოდი!

— მეც!—დაეთანხმა ზურა.

ყმაწვილები დადუმდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ჩაეძინათ.

\* \* \*

სოფელში მოსავლის აღება დაიწყო. კოლმეურნენი გამალებით მუშაობდნენ. ზურაც მათ უღდა გვერდით. თავისუფალ დროს კი ბევრს კითხულობდა. ხანდახან ახლო-მახლო სოფლების ძველ ციხე-კოშკებსა და ეკლესია-მონასტრებს ათვალიერებდა.

ერთხელ, ასეთი ექსკურსიის დროს, ზურა თეთრადხევის გორაზე სრულიად მოულოდნელად წააწყდა პატარა ეკლესიას. ამ ეკლესიის შესახებ მას არც ოჯახის წევრებისაგან, არც მეზობლებისაგან არაფერი არ სმენოდა. ეკლესიას აშკარად ეტყობოდა, რომ ძველისძველი იყო. შენობას მიუახლოვდა და კედელთან ჩამჯდარი მასზე უმცროსი სამი მწყემსი ბიჭი დაინახა. წინ თლილი ქვა ეგდო

და ერთი მათგანი რაც ძალადღონე ჰქონდა ქვას ქვაზე სცემდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა ზურა.  
— გაგიმარჯოს, — მისცეს პასუხი.  
— აქ რას აკეთებთ?

— არაფერს.—უბასუხა უფროსმა.

ზურამ ბორცვს გაჰხედა. ძეძვიანში ნახირი ბალახს სძოვდა. — თლილ ქვას დააკვირდა, კარგა მოზრდილი იყო, ძველი ქართული წარწერა ჰქონდა. ზურას წყენა დაეტყო და ქვას რომ ტეხდა, იმ ბიჭს მიმართა:

— რათა ტეხ ამ ქვას?

— სათამაშოდ გვინდა...

— მერე და სათამაშოდ ქვა სხვა არ იშოვება?

— ეს კარგია, გათლილია!

— სკოლაში დადიხარ?

— ყველანი დავდივართ...

— მერე სირცხვილი არაა, ასე რომ იქცევით? ზედავთ, რომ რიყის ქვას არა ჰვადს, ზედ რაღაცაა გაშოყვანილი და მაინც ამტვრევთ. თქვენ რომ გიყუროთ კაცმა, ამ თლილ ქვებს სულ სათამაშოდ მოინდომებთ.

ცოტაოდენი წალაპარაკების შემდეგ მწყემსი ბიჭუნები დარცხვენილნი წავიდნენ.

ზურამ ქვას თვალიერება დაუწყო. ქვა გაბზარული იყო და ერთი მხარე ჩამოძვრეულიც ჰქონდა.

ცოტა ხნის შემდეგ დაფიქრებულმა ზურამ შინისკენ გასწია.

\* \* \*


მეორე დღეს დილით ზურა ადრე ადგა, მშობლები გააფრთხილა დამავიანდებაო და სადღაც წავიდა.


კასპსა და მის მიდამოებში შუადღის სიციხე იდგა. ხეების ჩრდილქვეშ აქა-იქ პატარა ბავშვებს შეეფარებინათ თავი და გამგლეღამომგლეღას ათვალიერებდნენ. შორიდან თვალი მოჰკრეს ბიჭუნას, რომელსაც ტვირთი მოჰქონდა. მოხრილი იყო და ნელი ნაბიჯით მიიწევდა წინ.

კასპის სადგურის მახლობლად პატარა ბაღია, ბაღთან კი ადგილობრივი — რაიონული გაზეთის რედაქციის შენობაა. დალილმა ბიჭუნამ რედაქციის კარები შეაღო, ტვირთი მძიმედ მოიხსნა და რედაქციის თანამშრომლებს თავაზიანად მიესალმა.

რედაქციაში მას ნაცნობი აღმოაჩნდა.

— ზურა შენა ხარ? რას გაეხარ ბიჭო? ეს რა მოიტანე?





— მე დღეს, ძია ვანო, იქით-აქეთ 9 კილომეტრი გავიარე. ძალიან დავიღალე, საშინელი სიცხეა, მაგრამ ძვირფასი ტვირთი მაინც მოვიტანე...

ზურამ ტომარა გახსნა და წარწერიან თლილი ქვა ამოიღო. ყმაწვილმა ყველას გააცნო საქმის ვითარება და რედაქციის თანამშრომელთა მადლობა დაიმსახურა.

ქართული წარწერა მეთერთმეტე საუკუნისა აღმოჩნდა და მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავდა. ქვა ფრთხილად შეინახეს და ზურამს სიყვარულით მხარზე ხელი დაჰკრეს. ამ ამბავმა ზურამს სახელი გაუთქვა. მისი სკოლის ამხანაგები, მასწავლებლები და თანასოფლელები ალერსით ხვდებოდნენ ჭკვიან ყმაწვილს.

პაპა ნიკა კი სიხარულით ამბობდა:

— მე ხომ ვთქვი, რომ ზურა ყოჩილი ბიჭია, სოფლის თვალი იქნება მეთქი. აკი მიმართლდება სიტყვები. დაიცადეთ, ჯერ სწავლა დაასრულოს ზურამ და ნახავთ რა სასახელო კაცი დადგება!

\* \* \*

ჩემო პატარა მეგობრებო, თქვენ გგონიათ, რაც ახლა წაიკითხეთ, მოგონილი ამბავია? სრულიადაც არა! როცა ქალაქ გორში ყოფნა მოგიხდებათ, შეიარეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში და ნახეთ წარწერიანი ქვა № 1017 ეს სწორედ ის ქვაა, რომელიც ზურამ თავის ზურავით ჩამოიტანა კასპში და დაღუპვას გადაარჩინა.



## ა რ წ ი ვ ე ბ ი

მამულში გმირთა დიდების  
სიმღერა გაიმრიალებს;

— მტრისთვის სიკვდილი მიჰქონდათ  
არწივებს ქარიშხლიანებს.

ჩამოაღამეს მტრის ზეცა,  
ჩვენს ცას მოჰფინეს ნათელი.

— სამშობლოს დევგმირებია,  
საბჭოთა გოლიათები.

ქვეყნის მშვიდობას იცავენ  
ფრთებზე ვარსკვლავებდაყრილნი,  
წინ უძღვით სიბრძნე ბელადის  
გულში სინათლედ ჩაღვრილი...

გადაიდრენენ ლაყვარლებს,  
მზის შუქზე გაბრწყინდებიან;  
ბედნიერ დღეთა გუშავნი,  
სამშობლოს არწივებია.

თიბურაზ ჯანგულაშვილი





(ა. შ ა რ შ ა კ ი დ ა ნ )

## I

ახლაც ჰყვებიან ერთ ამბავს მთაში:  
— ომის დროს ჩრდილო კავკასიაში,  
უცებ წააწყდა ლაშქარი მტრისა  
ხელალმართულ ქეგლს მდინარის პირსა.  
— აიღეთ!— ბრძანებს მტრის გენერალი,—  
გადასადნობად გვჭირდება რვალი!—  
და ქეგლს ძირს აგდებს მტარვალთა ხელი...  
როდესაც ღამე ჩამოწვა ბნელი,  
ავტოთი მოაქვთ ის ქეგლი მცველებს—  
ავტომატიან კუმტ გერმანელებს.

## II

წყვდიადი ღამე იყო სასტიკი,  
ჩვენს პარტიზანებს ჰფარავდა იგი,  
და ტყვიამფრქვევი, მთის კლდოვან გზაზე  
ალაპარაკდა რუსულ ენაზე,  
მას ბანს აძლევდნენ გარშემო მთები,  
ხვადასხვა ტომთა ისმოდა ხმები,  
ხშირად მოსჩანდა ცეცხლი ზეცაში:  
ლენინისათვის იბრძოდნენ მთაში.  
თვითონ ლენინი, ავტოზე მდგარი  
ხედავდა, ბრძოლა რომ იყო ცხარი.  
შორს ის მთა სჩანდა, რომლის იქითა,  
ტურფა ქვეყანა დიდ სტალინს ზრდიდა.]

## III

ილვიძებს დაბა, და ბავშვთა კრება  
მდინარისაკენ მიეჩქარება.  
კვარცხლბეკის ნახვა კვლავ უნდათ იმათ,  
რაზეც ლენინი უნახავთ წინათ.  
ნახეს: ლენინი დგას უვნებელი,  
გაუშვერია კვლავ მათკენ ხელი;  
კვლავ ბრწყინავს ქეგლი და შხუის წყალი,  
მაღალ მთებიდან სრბოლით მავალი.



# ახალგაზრდა გვარდია

## ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

ოქტომბრის დღესასწაულის წინაღღეს, ექვს ნოემბერს, ღღისით, კოშე-  
ვის ბინაში, მეკავშირეების ვალია ბორცის, ნინო და ოლია ივანცოვეების  
მონაწილეობით „ახალგაზრდა გვარდია“ სრული შემადგენლობით შეიკრიბა.  
ოლეგმა გადასწყვიტა ეს დღე აღენიშნა კომკავშირში რადიკ იურკინის საზეი-  
მო მიღებით.

რადიკ იურკინი ახლა უკვე აღარ იყო ის მშვიდი, თვინიერთვალეებიანი  
ყმაწვილი, რომელიც ოდესღაც ჟორა არუთინიანცს ეუბნებოდა ხოლმე: „მე  
ხომ აღრე დაწოლას ვარ დაჩვეული“. ფომინის დასჯაში მონაწილეობის მი-  
ღების შემდეგ რადიკ იურკინი ტიულენინის ჯგუფში ჩაირიცხა და მონაწი-  
ლეობდა ღამით გერმანელების სატვირთო მანქანებზე თავდასხმაში. იგი საკ-  
მაოდ გულდაჯერებული იჯდა ახლა კართან დადგმულ სკამზე და პირდაპირ  
თვალის დაუხამხამებლად ფანჯარაში გასცქეროდა მოპირდაპირე ოთახს.  
ვიდრე, ოლეგი შესავალ სიტყვას ამბობდა, მერმე კი ტიულენინი დახასიათე-  
ბას აძლევდა მას, რადიკს ზოგჯერ ცნობისმოყვარეობა აღეძროდა ხოლმე,  
ვინ არიან ეს ადამიანები, რომელნიც ჩემს ბედს სწყვეტენო. და იგი თავის  
გრძელ-ქერაწამწამებიან თვალს მიაპყრობდა ხოლმე შტაბის წევრებს, რომლე-  
ბიც ახლა ისხდნენ თითქოს სანადიმოდ გაშლილი დიდი სასადილო მაგიდის  
გარშემო. მაგრამ ქალიშვილები,—ერთი ქერა, მეორე შავი,—იმწამსვე ისე  
აღერსიანად გაუცინებდნენ და ორივენი ისეთი კარგები იყვნენ, რომ რადიკი  
უცნაურად იბნეოდა და თვალს არიდებდა მათ.

— შე-კითხვები ხომ არ გექნებათ რადიკ იურკინისადმი? — იკითხა  
ოლეგმა.

ყველანი სღუმდნენ.

— თავისი ბიოგრაფია გვიამბოს,—წარმოსთქვა ტურკენიჩმა.

— გვიამბე ბ-ბიოგრაფია...

რადიკ იურკინი წამოდგა, ფანჯარაში გაიხედა და ისეთი მკვირცხლი ხმით  
დაიწყო, როგორც სკოლაში გაკვეთილს უბასუხებდა ხოლმე:

— დავიბადე ათას ცხრაას ოცდარვა წელს, ქალაქ კრასნოდონში, ვსწავ-  
ლობდი, გორკის სახელობის სკოლაში...—ამით დასრულდა რადიკ იურკინის  
ბიოგრაფია, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ ეს ძალიან ცოტა იყო, ამი-  
ტომ ნაკლები დარწმუნებით დასძინა: გერმანელების შემოსვლის შემდეგ არ  
ვსწავლობ...



კვლავ ყველანი სდუმდნენ.

— საზოგადოებრივ დავალებას თუ ასრულებდი?— შეეკითხა ვანია ზემუხიძე.

— არ ვასრულებდი,— ბავშვური ღრმა ამოხვნეშით მიუგო რადიკ იურკინმა.

— კომკავშირის ამოცანები თუ იცი?— კვლავ შეეკითხა ვანია, რომელიც რქის სათვალისაგან პირდაპირ მაგიდას დასჩერებოდა.

— კომკავშირის ამოცანაა ხოცოს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლები, ვიდრე თუნდაც ერთი მათგანი დარჩება ცოცხალი,— მკაფიოდ წარმოსთქვა რადიკ იურკინმა.

— რა თქმა უნდა, მივიღოთ,— სთქვა ლუბკამ, რომელიც სულითა და გულთა იყო მოწადინებული, რომ ყველაფერი კარგად გამოსვლოდა რადიკ იურკინს.

— მივიღოთ, მივიღოთ...— სთქვეს შტაბის სხვა წევრებმაც.

— ვინ არის მომხრე, რომ რადიკ იურკინი მივიღოთ კომკავშირის წევრად?— ღიმილით იკითხა ოლეგმა და თვითონვე ასწია ხელი.

ყველამ ხელი ასწია.

— ეერთხმად,— წარმოსთქვა ოლეგმა და წამოდგა.— აქ მოდი...

რადიკი ოდნავ გაფითრდა; ტურკენიჩმა და ულია გრომოვამ აქეთ-იქით მიიწიეს, რომ ადგილი დაეთმოთ მისთვის, ღინჯად მიაჩერდნენ მას, და ყმაწვილიც მაგიდასთან მივიდა.

— რადიკ!— საზეიმო განწყობილებით უთხრა ოლეგმა,— შტაბის დავალებით გაბარებ კომკავშირის დროებით ბილეთს. საკუთარ ღირსებასავით მოუარე მას. საწევრო გადასახადს შენს ხუთეულში გადაიხდი. ხოლო, როცა წითელი არმია დაბრუნდება, კომკავშირის რაიკომი ამის ნაცვლად მუდმივ ბილეთს მოგცემს...

რადიკმა პატარა მზედაკრული ხელი გაუწოდა და ბილეთი გამოართვა. ეს ნამდვილი ბილეთის ზომის ორად გაკეცილი ბილეთი გაკეთებული იყო იმ სქელი ქაღალდისაგან, რომელზეც გეგმებსა და რუკებს ხაზავენ. პირველ გვერდზე ზემოთ ოკრობოკრო ბეჭდური ასოებით ეწერა: „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“ ცოტა ქვემოთ: „საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი“. უფრო ქვემოთ, მსხვილად: „დროებითი კომკავშირული ბილეთი“. მეორე გვერდზე, მარჯვნივ ეწერა რადიკის გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების წელი, ქვემოთ— კომკავშირში შესვლის დრო: „1942 წლის 6 ნოემბერი“, უფრო ქვემოთ— „გაცემულია „ახალგაზრდა გვარდიის“ კომკავშირის ორგანიზაციის მიერ ქ. კრასნოდონში. მდივანი: კაშუკი“. ბილეთის მარჯვენა მხარეზე დახაზული იყო სვეტები საწევრო გადასახადის აღსანიშნავად.

— ჯუბაში ჩავაქერებ და ყოველთვის თან ვატარებ,— ოდნავ ვასაგონად წარმოსთქვა რადიკმა და ბილეთი ჯუბის შიგაჯიბეში ჩაიდო.

— შეგიძლია წახვიდე, — უთხრა ოლეგმა.

ყველამ მიულოცა რადიკ იურკინს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

რადიკი ბალის ქუჩაზე გამოვიდა. არ წვიმდა, მაგრამ ძლიერი ქარი უბერავდა და ძალიან ციოდა. ბინდი ახლოვდებოდა. იმ ღამეს რადიკის მეთაურობით სამი ყმაწვილისაგან შემდგარი ჯგუფი დიდი სადღესასწაულო დავალების შესასრულებლად უნდა წასულიყო. გრძნობდა რა უბეში ჩადებულ

ბილეთს, რადიკი მკაცრი და ბედნიერი გამომეტყველებით წავიდა შინ. რკინიგზის მეორე გადასასვლელზე, რაიონული აღმასკომის შენობასთან, სადაც ამჟამად მოთავსებული იყო სასოფლო-სამეურნეო კომენდატურა, რადიკი ქვედა ყბა ოდნავ წინ წამოსწია, ტუჩები მოკუმბა და გამგებრავად დაუსტვინა: — ისე, უბრალოდ, მხოლოდ იმისათვის, რომ გერმანელებს სცოდნოდათ, რადიკი ცხოვრობს ქვეყანაზე.

იმ ღამეს არა მარტო რადიკი, არამედ მთელი ორგანიზაციაც მონაწილეობდა დიდი სადღესასწაულო დავალების შესრულებაში.

— გახსოვდეთ: ვინც გათავისუფლდება, გარდა პერვომაიკელებისა, პირდაპირ ჩემთან მოვიდეს, — წარმოსთქვა ოლეგმა.

პერვომაიკელები დები ივანიხინების ბინაზე ოქტომბრის სადღესასწაულო საღამოს აწყობდნენ.

ოთახში დარჩნენ ოლეგი, ტურკენიჩი, ვანია ზემნუხოვი და მეკავშირეები: ნინო და ოლია. ოლეგს სახეზე ანაზღად მღელვარება დაეტყო.

— ქა-ალიშვილებო, ჩემო კაარგებო, უკვე დ-დროა! — ენის ძალზე ბორძიკით წარმოსთქვა ოლეგმა. იგი მივიდა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის ოთახის კართან და დააკაკუნა, — ძალუა მარინე, დ-დროა...

მარინეს პალტო ეცვა, გზადაგზა ხილაბანდს იკრავდა და ოთახიდან გამოვიდა, მას გამოჰყვა ძია კოლია. ბებია ვერა და ელენე ნიკოლოზის ასულიც გამოვიდნენ თავიანთი ოთახიდან.

მარინე, ოლია და ნინო ჩაცმული გამოვიდნენ, მათ დავალებული ჰქონდათ მახლობელი ქუჩების დაცვის უზრუნველყოფა.

ეს სახიფათო გამბედაობა იყო: ამის გაკეთება ისეთ დროს, როცა სახლებში ჯერ კიდევ არ ეძინათ და ხალხი ჯერ კიდევ ქუჩაში მიდი-მოდიოდა, მაგრამ ვანა შეიძლებოდა ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება!

ბინდი დამუქდა. ბებია ვერამ შუქმფარი ჩამოუშვა და კრაქი აანთო. ოლეგი მარინესთან გავიდა ეზოში. მარინე მოშორდა სახლის კედელს.

— არავინ არ არის.

ძია კოლიამ სარკმელში თავი გაჰყო, მიიხედ-მოიხედა და მავთულის ბოლო ოლეგს გაუწოდა. ოლეგმა ის გრძელი ჯოხის წვერს მიამაგრა და ეს ჯოხი ზედ ბოძთან მავთულზე ჩამოჰკიდა ისე, რომ ჯოხიცა და ბოძიც სიბნელებში შეერთდნენ.

ოლეგი, ტურკენიჩი და ვანია ზემნუხოვი ძია კოლიას ოთახში საწერ მაგიდასთან ისხდნენ და ხელში მომარჯვებული ჰქონდათ ფანქარი. ბებია ვერა, პირდაპირი, გამოუცნობი გამომეტყველებით, და ელენე ნიკოლოზის ასული კი ოდნავ წინწაწეული, გულუბრყვილო და რამდენადმე შემკრთალი გამომეტყველებით, მოშორებით ისხდნენ საწოლზე და აპარატს მისჩერებოდნენ.

მხოლოდ ძია კოლიას მშვიდსა და ზუსტად მოქმედ ხელებს შეეძლო ასე უცებ, უხმაუროდ ჩაერთო სწორედ საჭირო ტალღა. ისინი პირდაპირ ოვაციას შეუერთდნენ. ჰაერის განმუხტვა არ იძლეოდა მოლაპარაკე ადამიანის ხმის მოსმენის საშუალებას, მაგრამ ყური მაინც მოჰკრეს სახელს, რომელიც ამ ხმამ წარმოსთქვა. ოვაციის ხმაურმა, რომელიც ზღვის ნიჟარიდან ამოხეთქილი ხმაურივით ესმოდათ აქ, ოთახი აავსო და დიდხანს არ შეწყვეტილა. ზოგჯერ მაინც შეიძლებოდა ცალკეული ხმებისა და თვით ტაშის გარჩევა. მაგრამ, აი ყველაფერი მიწყნარდა და ამ სიჩუმეში, რომელსაც ზოგჯერ ჰაერის განმუხტვა არღვევდა ხოლმე, გაისმა მშვიდი, დინჯი, ვაჟკაცური ხმა:

— ამხანაგებო! დღეს ჩვენ ვზეიმობთ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რევოლუციის გამარჯვების ოცდახუთი წლისთავს. ოცდახუთი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა წყობილება დამყარდა. ჩვენ ვდგავართ საბჭოთა წყობილების არსებობის მეორე ოცდაექვსი წლის მიჯნასთან.



მას შემდეგ, რაც გასულ წელს, შვიდ ნოემბერს, მოსკოვის წითელ მოედანზე გამართულ წითელი არმიის პარადზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას გადმოსცემდნენ რადიოთი, აქ დამსწრეებს არ მოუსმენიათ მისი ხმა... შეუძლებელი იყო არ ეცნოთ ეს ხმა. მაინც ძნელი დასაჯერებელი შეიქნა, რომ ეს სწორედ ის იყო. და ელენე ნიკოლოზის ასულმა უფრო წინ წამოწევით იკითხა:

— ნუთუ ის არის?

— დიად... ჩუმად!—წაისისინა ოლეგმა და თვალები გრძნობით ააბრიალა.

ტურქენიჩი მშვიდი და დინჯი გამომეტყველებით, ხოლო ვანია ზედ რვეულზე სათვალის დაშტერებით, ჩქარა იწერდნენ. ჩაწერა ძნელი საქმე არ იყო: იგი აუჩქარებლად ლაპარაკობდა. ზოგჯერ იგი მცირე ხნით გაჩუმდებოდა ხოლმე, მაშინ მოისმოდა, როგორ ასხამდა ჭიქაში წყალს და როგორ სდგამდა ჭიქას კვლავ თავის ადგილას. მაინც პირველ ხანებში მათი სულიერი ძალა უნდებოდა იმას, რომ არაფერი გამოჰპაროდათ. მერმე ისინი შეეგუენ სიტყვის რიტმს, მაშინ თვითუფლ მათგანს დაუფლა შეგრძნობა უჩვეულობის, თითქმის იმის შეუძლებლობისა, რაშიც ახლა უკვე თვითონვე მონაწილეობდნენ. დიად, ის არის... ის! და მე აქ, კრასნოდონში ვუსმენ და ვიწერ მის სიტყვას! ნუთუ ეს შესაძლებელია?“—ასე ფიქრობდა ყოველი მათგანი.


ის, ვინც ჭრაქის შუქზე ცივ ოთახში, ან ბლინდაჟში არა მჯდარა მაშინ, როცა გარეთ არა მარტო შემოდგომის ყინვა მძვინვარებს,—როცა ადამიანი დამცირებულია, ფეხქვეშ გათელილი, გამათხოვრებული,—ვისაც რადიო-აპარატთან გაყინულ ხელებით არ დაუჭერია თავისი სამშობლოს თავისუფალი ტალღა, იგი ვერასოდეს ვერ მიხვდება, თუ რა გრძნობით ისმენდნენ ისინი ამ აუჩქარებელ, დინჯ სიტყვას...

ყოველივე ის, რაც თექვსმეტი წლის ბიჭით დაწყებული და სოფელი დურგლის ქალიშვილით, მოხუცი ქალით გათავებული, ამ ადამიანთა პატრიოტულ გრძნობაში შეუცნობლად ცოცხლობდა,—ყოველივე ეს ახლა უბრუნდებოდა მათ, ფაქტების, ციფრების, უბრალო, პირდაპირი სიმართლით მოსილი, მომავლის არწივისებური განჭვრეტით ზეშთავონებული...

ესენი იყვნენ ის უბრალო ადამიანები, რომელთაც წილად ხვდათ ასეთი წარმოუდგენელი ტანჯვა-წამებანი და რომელნიც ახლა მისი ხმით მსოფლიოს ეუბნებოდნენ:

— ჰიტლერელი არამზადები... ჰკლავენ და აუპატიურებენ ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობას: მამაკაცებსა და ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, ჩვენს დებსა და ძმებს... მხოლოდ საზიზღარ ადამიანებსა და არამზადებს, რომლებიც მოკლებული არიან ღირსებას და პირუტყვის მდგომარეობამდე დასულან, შეუძლიათ ნება მისცენ თავიანთ თავს ჩაიდინონ ასეთი უმსგავსოებანი, უდანაშაულო, უიარალო ადამიანების შემართ... ჩვენ ვიცნობთ ამ უმსგავსოებათა ჩამდენ დამნაშავეებს, „ევროპაში ახალი წესრიგის“ მშენებელთ, ყველა ამ ახლადგამომცხვარ გენერალ-გუბერნატორებსა და უბრალო გუბერნატორებს, კომენდანტებსა და ქვეკო-

მენდანტებს. მათს სახელს იცნობს ათიათასობით განაწამები ადამიანი. დაე, იცოდნენ ამ ჯალათებმა, რომ ისინი ვერ გაექცევიან პასუხისმგებლობას თავიანთი დანაშაულისათვის და თავს ვერ დააღწევენ განაწამებ ხალხთა დამჩინებულ სჯელ ხელებს...



ამას ამბობდა მათი შურისძიება ყველა ადამიანზე უფრო დიდი ადამიანის პირით...

სუნთქვა უზარმაზარი სამყაროსა, რომელიც გარს ერტყა მტრის ჯარისკაცთა ჩექმებით ტალახში გათელილს მათს პატარა ქალაქს, მშობლიური მიწა-წყლის მძლავრი რყევა, მოსკოვის მაჯისცემა, შემოიჭრა ოთახში და მათი გული აავსო იმის ბედნიერი შეგრძნობით, რომ ისინი ამ სამყაროს ეკუთვნიან...


ოვაციის გრიალი ფარავდა მის მიერ წარმოთქმულ ყოველ „გაუმარჯოს!“.

— ჩვენს პარტიზანებსა და პარტიზან ქალებს—დიდება!

— გაიგონეთ?.. მან სთქვა ეს?.. წარმოსთქვა ოლეგმა და თან გაბრწყინებული თვალებით ყველას ერთბაშად გადახედა.

ძია კოლიამ რადიო გამორთო და უცებ საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. წელან ყოველივე ეს იყო, და აი უკვე არაფერი არ არის... სარკმელი კრიალებს. გარეთ შემოდგომის ქარი ზუზუნებს. ისინი მარტონი სხედან ნახევრად ბნელს პატარა ოთახში და ასობით კილომეტრ მანძილზე გადაჭიმული ტანჯვა აშორებს მათ იმ სამყაროს, რომელიც სულ ახლახან ხმაურობდა...

თარგმანი პოლიო აბრამიასი





# მეტორომეტე

• გა ლ ა ჯ ა •

აღამოს მზე რამ ჩავიდა,  
აღარ აღმოხდა დილითა,  
ვერ ივაიღვიძა ქალაქმა  
იმ ძილ-მღვიძარი ძილიდან.

რიყრაყზე დაჰკრეს საყვირი —  
გულს მოხვდა, როგორც მახვილი,  
და იგრძნო თვალმა და გულმა  
ობლობა, უსამშობლობა,  
დროშებზედ იზმორებოდა  
სეასტიკა, როგორც ობობა...  
ქალაქში დაჰკრეს საყვირი,  
გადამთიელის საყვირი...  
ნეტავი, საით გვეძახის,  
საყვირო, შენი ძახილი!


ნეტავი, საით მიჰქრიან  
ქალაქისთავის ეტლები!  
დაწრიალებენ ქუჩებში  
ხელჯოხიანი მხედრები...  
საღლაც ველურთა ორკესტრი  
გაგიჟდა, შეიშალა...  
— ჰეი, გამოდით რუსებო!  
გამოდით, ჰეი, ჩქარა!

ჯერ ქვაფენილზე ბალღების  
არცკი გამშრალა სისხლი,  
შუაქუჩაში ჯალათი  
დგას და ხარხარებს ზიზლით:  
— ჰეი, იჩქარეთ, რუსებო,  
რას მოღრუბლულხართ მარტივით,  
რუს ფეხბურთელებს ამგვარი  
არც მოსწრებიათ პატივი!  
რუს ფეხბურთელებს ამგვარი  
არც მოსწრებიათ ზეიმი!  
ჰეი, იჩქარეთ რუსებო,  
იქნება თვალისეირი!..

ხალხო, რას ჩაფიქრებულხარ,  
რა ბოღობით გარინდებულხარ?!  
დაცინვასავით მოგესმის  
გადამთიელის ორკესტრი?!

გულში უხამივით იღვრება  
და ჰკავს უშლილის ხარხარს;  
— „გერმანია, გერმანია  
სულ ყველაფერზედ მაღლა!“...

...და ჰა, მოედნის შუაგულს  
რისით და ბაქიბუქით,  
გამოჩნდნენ გერმანელები,  
ორკესტრმა დაჰკრა ბუკი,  
მერე პირისპირ ჩამწკრივდნენ,  
გულს დაკრეფილი ხელებით,  
ხიშტის ქვეშ დარიგებული  
საბჭოთა ფეხბურთელები...





ხმა ჩამოირბენს მოედანს:  
 — „ან როგორ არა სცხვინათ,  
 ჩვენი მამაცი ბიჭები  
 დღეს განგებ დამარცხდებიან...  
 თურმე ამისთვის ჯალათი  
 ჰპირდებათ ათას წყალობას...  
 რას იტყვის მამა სტალინი,  
 რას გვეტყვის შთამომავლობა!“

ხმამ დაურბინა მოედანს —  
 გულებს ცეცხლივით მოედვა...  
 — ვაი, თქვენ, ჩემო შვილებო, —  
 ხალხში ჩურჩულებს ბებერი,

— ვაჟკაცსა სახელიანსა  
 მკვდარსაც სახელი შეჰფერის!  
 არც მემეტებით სამკვდროდა —  
 აგრემც მე მომკლა ბებერი...  
 აჰა, ასტივინდა სასტიკენი  
 თამაშის მაუწყებელი.

...ეშხი იმ თამაშს არ ჰქონდა —  
 ბურთი შიშით ვერ ფრინავდა,  
 და რუსი ფეხბურთელები  
 ჯერ თამაშობდნენ ფრთხილად.  
 ..უეცრად შედგნენ, შეჰყვირეს,  
 მკერდს ჩაიმჯიდეს ხელები,  
 გაიღვეს და გაბრწყინდნენ  
 მინდორზე ცისარტყელები...  
 მოშობელი კრემლის ძახილი  
 თუ ესმათ უღიადესი, —



ცხრაჯერ შესტყორცნეს ზედიზედ  
 ბურთი მომხდურის ბადეში.  
 მყისვე დადუმდა ორკესტრი,  
 აღარ ხარხარებს, აღარ:

— „გერმანია, გერმანია,  
 სულ ყველაფერზედ შალა!“  
 წამსვე აშალეს თამაში,  
 მას იქმენ, რასაც დაჰპირდნენ;  
 ცხრაჯერ შეერცხვენილ კარის ძელს  
 თერთმეტი ყულფი დაჰკიდეს.

თერთმეტი ყულფი დაჰკიდეს,  
 შაგრამ სად იყო, სად არა,  
 ქალაქისთავთან მიიჭრა  
 ოქროსთმიანი პატარა,  
 და ხალხმა შეუტნობელი  
 შიშისგან თავი დახარა...


— მე ძმა ვარ გუნდის უფროსის,  
 მე ნორჩი ფეხბურთელი ვარ,  
 მე მწრთვინდნენ ამა გუნდისთვის  
 და მეც ამ ჭუნდში ვწერივარ...  
 სისხლით და ხორციით ვწერივარ —  
 მე რუსი პიონერი ვარ!  
 სტალინის მზესა ვფიცავარ  
 და მის დიდებას ვმღერავარ,  
 რომ შღირსებოდა თამაში, —  
 მე რუსი პიონერი ვარ, —  
 არ შევარცხვენდი უფროს ძმას,  
 და ნუ ჩამითვლით კვებხადა:  
 ერთ ლელოს მაინც ვტყორცნიდი —  
 გულს დაგასვამდით ეკლადა!“

წამოგუგუნდა ზღვა ხალხი,  
 ზღვა ბოლშამ ააკანკალა,  
 და ათიათას მართალ კაცს  
 ტანზე ეკალი დაჰყარა...  
 ზეზე წამოდგა ჯალათი —  
 ლიმი ცოფივით დაღვარა,  
 მერე სთქვა საბრძანებელი  
 და ზიზლით გადიხარხარა...

\* \* \*

გაფრინდნენ შავი დღეები,  
 სახრჩობელების ტყეებით.  
 ერთხანს იმ რუსის ქალაქში,  
 ეხ, ახლაც ანსოვს ყველას,  
 როგორ ეკიდა ბადეში  
 თორმეტი სახრჩობელა..  
 მერე კვლავ თავისუფლების  
 ნათლით განათლდა ქალაქი,  
 და ახლა, როცა იმ ქალაქს  
 კვლავ კრემლის კოშკი დაჰნათის,  
 გუგუნებს მკვიდრი იმისი,  
 ახალგაზრდა თუ ბებერი:  
 — ვაჟკაცსა სახელიანსა,  
 მკვდარსაც სახელი შეჰფერის!





მ ო თ ხ რ ო ბ ა

# ბუნების წიაღში

ნარის თავზე და ბოლოს ჩაფრინდა თავის ბუდეში ბარტყებთან.

გველი მოვკალ და ჩიტის ყურთასმენის წამლები განვაშვიც გათავდა.

— რა ყოფილა დედა თავისი შეილებსათვის! — ვთქვი და განვაგრძე ვზა.

უცებ ჩემს წინ მელამ გადაირბინა და პურის ყანაში შეერია. ყანებშორის დარჩენილ ყამირებზე გამძული ღიჭებიდან აფრინდა დედალი ხოხობი. ჯერ კულბაწარასავით წავიდა იგი პირდაპირ, შემდეგ ისევ მოუხვია და იქვე ჩაჯდა, საიდანაც აფრინდა. შევედი ყანაში და ვიპოვენე მელიის განარბენი: მისგან წაქცეული ყანა ისევ ფეხზე დგებოდა. მიეყვებ კვალს, რამაც ხოხობის ბუდესთან მიმიყვანა, მაგრამ მელას მაინც დანაშაულზე ველარ წავასწარ: ნადირი ჩემზე ფრთხილი და ყურმახვილი გამოდგა, მას უკვე დაეყლაპა ხოხობის კვერცხები და, ჩემი ფეხის ხმაზე, გაპარულიყო. მხოლოდ ერთი კვერცხილა დარჩენოდა გადაუყლაპავი.

ისევ გზაზე გავედი.

თელავიდან კურდღელაურს რომ ჩასცდებით და შარჯენივ გაუხვევთ, შემდეგ პირდაპირი გზა მიდის შაქრიანისაკენ.

ამ გზაზე მივდიოდი პურისა და სიმინდის ყანების სურნელებით გაბრუნებული. თიბათვის ნიაფი ოდნავ არხევდა გზის ორივე ნაპირებში ჩაწოლილ ყანების ზღვას. ცოტა მანძილი რომ გავიარე, ვხედავ—ყანის პირას ერთ ჯაგზე ჯოხოლა ჩიტი ჯდება და ვერ დამჯდარა, ისეთ წიოკობაშია, თითქოს ქვეყანა იღუპება და შველას ითხოვსო. კარგა რომ დაეკვირდი, შევატყვე, ჯაგში ჩაფრინდებოდა, რალაცას ჩაუნისკარტებდა და ისევ ამოფრინდებოდა.

მივუახლოვდი. ჩიტი არ ფრთხებოდა. მინდოდა დამენახა, რას ებრძოდა იგი, მაგრამ ის, რასაც ებრძოდა, ბალახებში იყო ჩამალული და ვერა ვხედავდი. სულ ახლოს მივედი, თითქმის ორი-სამი ნაბიჯის მანძილზე. ჩიტი მაინც არა ფრთხებოდა — პირიქით, იმედის თვალით შემომყურებდა.

თოფი მომარჯვებული მქონდა. სულ ახლო მივედი, თოფის ლულით ბალახები მივწიმოვწიე და შემაყრყოლა სანახაობამ: ჯოხოლა ჩიტის ბუდეში ბარტყები ფუსფუსებდნენ, მათ თავს დიდი გველი წასდგომოდა, რამდენიმე ბარტყი ჩაეყლაპა და ბუდეში ორინდა იყო.

ვესროლე თოფი გველს.

ჩიტი დაწყნარდა. ჯერ ჯაგის კენწეროზე დაჯდა, მერე დაბლა ტოტზე, შემდეგ იქვე



მზე კარგა მაღლა წამოვიდა.

ჩამოცხა. გზის პირად ერთი დიდი, ტოტეგამლილი მუხა იდგა და მშვენიერი ჩრდილი ჰქონდა. მიველ და მუხის ქვეშ დავეჯექ დასასვენებლად. ზურგი მუხას მივაყრდენ და თვალი მოვხუჭე. უეცრად საიდანღაც მოფრინდა ჭრელ-ნაცარა დიდი ბუზი და ზედ ცხვირზე დამაჯდა. მიკბინა, ხელი გავიქნიე და დავაფრთხე, მაგრამ ახლა შუბლზე დამაჯდა, იქედანაც გავაგდე, ახლა ლოყაზე დამაჯდა, იქიდანაც ვაფრინე, გაბრაზებულმა სილა შემოვიკარ, მაგრამ ვერ მოვკალ; შორს გამიფრინდა და იქვე ტოტზე გაბმულ ობობას ქსელში გაება.

საიდანღაც საჩქაროდ გამოვარდა თეთრ-ზურგიანი შავი ობობა, მაღალი, დაკლაკნილი ფეხებით, მიჰვარდა ბუზს და დიდი სისწრაფით შეახვია იგი ძაფებში, რაიც ეშმაკმა

იცის, რომელი კოჭიდაფიდან ამოჰქონდა იმდენი!

როცა დარწმუნდა, ბუზი ვეღარსად წაუვიღოდა, ცოტა ხანს ისევ თავის კუთხეში მიმალა. ალბათ კიდევ ელოდა მსხვერპლს, მაგრამ როცა ეს მსხვერპლი აღარ გამოჩნდა, თავის კუთხიდან დინჯად გამოვიდა და ბუზს დაუწყო წუწვნა.

ბუზი ისევ ცოცხალი იყო და ტკივილები-საგან ბზუოდა. ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს მუნჯსა სცემნო.

შემეცოდა ბუზი!

აი რა ყოფილა: მე რომ მომეკლა—არაფერი, ხოლო როცა ობობამ დაუწყო წუწვნა—შემეცოდა.


ვინ იცის რამდენი საიდუმლოებაა ბუნების წიაღში!



## მოსავლის ნაამბობი

**ვ**არ სიყვარულით ნათესი,  
გაშლილ მინდორზე მოვედი.  
ჩემზე ზრუნავდნენ, შევიტკბე,  
უკეთესს რაღას ვპოვებდი?  
სწრაფად ავცილდი მიწის პირს,  
გადავბიბინდი ჯეჯილად,  
მუხლი მოვისხი, — ზრდაშია  
ვერავინ შემომეჯიბრა.  
როცა სამკალი შევიქენ  
დაულაღავი მოვლითა,  
ომგადახდილი ვაჟკაცი  
ჩემთან ღიმილით მოვიდა.  
ელვად აენტო ნამგალი,  
ამღერდნენ კომბაინები.  
გამლეწეს, ამიერიდან  
ხალხის დოვლათი ვიქნები.

იოსებ ნალაფილი



## მ გ ზ ა ვ რ უ ლ ი

პიონერ მოღაშქრეებს

ეს რა მალლა ამოვსულვართ, —  
უფრო ზევით, უფრო ზევით!  
ციცაბოზე გზას გვიკვლევვენ  
გამოცდილი უფროსები.


ხევ-ხევ მოსჩანს ნაკადული  
აბრეშუმის ნართის მსგავსად,  
ასწლოვანი წიფლის ხეთა  
საუბარი გვესმის გარსა.

ბროლის კოშკად თავს დაგვცქერენ  
მიუვალი მწვერვალები,  
ელვარებენ, გვიზიდავენ,  
ვეღარსაით ვემალებით.

შორს დავტოვეთ ბილიკები,  
მთიდან ზღვამდე, ზღვიდან-მთამდე,  
ნეტავ, გზები გაგვიგრძელდეს,  
ჯერ ზაფხული არ გათავდეს!

უფრო მარდად, უფრო ზევით,  
მალალ ქედებს გადავევლოთ,  
ფიქრის უმალ მოვიფრინოთ  
საყვარელი საქართველო!

მავალა მამვლიზვილი



# პიონერთა მარცხანე

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ისტორიკოსი



საშა ჩეკაიანი



პავლე მორბოვი

1919 წელი

**25 მაისი.**—მოსკოვში, წითელ მოედანზე, ვ. ი. ლენინმა სიტყვით მიმართა ახალგაზრდაებს. მიუხედავად იყვნენ მოსკოველი ბავშვები, რომლებიც თავის თავს „ბოროტ კომუნისტთა ჩაშნა“ უწოდებდნენ. ლენინმა ილია ქემ თავის სიტყვაში სთქვა, რომ „ბავშვებუნდა ეხმარებოდნენ რევოლუციას“. ჩემ „ბავშვთა ორგანიზაცია“ — კომუნარებზე დახრდის საუბრეთუც ვხანა.

გმირი პიონერი პავლე მორბოვი დაიბადა 1918 წელს ღარიბ გლეხთა ოჯახში, სოფელ მუხანოვოში (ტრალი).

როცა სოფელი პიონერთა ჩაშნა ჩამოყალიბდა, პავლე პირველი შევიდა მასში, ცნობილი მემუარისტი გამო მალე იგი პიონერებმა ჩაშნის თავდამარცხებელი აჩივრის.

ამ წლებში გახალა საკლუბურები მომართა, ღარიბი და საშუალო გლეხობა კლუბურებში გამოიბნობდნენ. კლუბური ზღვადნენ, რომ კლუბური მუშაობის ნადავლი მდებარეობდა. ამიტომ შეუდგნენ ჩაფხუბით კლუბურების ჩამოშლის საქმეს.

სახლის ტრენების მქონე პავლე მორბოვი მხარეებში ავიდა იმისთვის კლუბურების მისი განადგურებად.

როცა კლუბურმა მოხილვებს სახლი ბერის გადაება და პერის დამახლებების ჩაფხუბა, პავლემ საკლუბურთა სივლინის მტერება გამოაკრავა.

კლუბურმა გადაწყვიტეს პავლეს მიყვლა, რაც სასიფხუბო მოუყვანა 1932 წლის 8 მაისს.

კლუბურების მეთაურმა ანდრეი საკლუბურთა სივლინის, საკლუბურთა წინააღმდეგობის ბრძოლაში დიდ როლს შეასრულა პიონერების ყველა, სოფელი და ქალაქი, არაბოთი მონაღრო შევიდა პიონერთა ორგანიზაციაში.

პავლე მორბოვის ბიძა ციხეშია არა მარტო პიონერთა ველში, არამედ მიწელ ხალხში.

მდე მოსკოვში, პიონერთა სახლების მისეობად, აქედელ იქნება გმირი პიონერის პავლე მორბოვის წელი.

1922 წელი

**თებერვალი.**— პარტიის დაველებით კომუნისტური შეუდგნის პიონერთა საბავშვო კომუნისტური ორგანიზაციის ჩამოყალიბების მოსკოვში. „ქრისტიანო პრესნია“-ს რედაქციაში 16 სექტემბრის 13 თებერვალს კომუნისტურებმა მოაწყვეს პიონერთა ჩაშნის შეკრება. ეს იყო პირველი შეკრება მოელ საბავშვო კავშირში. ჩაშნის მიღებულ იქნა 25 ბავშვთა დეპუტატები.

**დეკემბერი.**— ქალაქ ვიატკაში (ახალგაზრდა კლუბი) ჩამოყალიბდა პიონერთა ჩაშნა ბავშვებმა ვ. ი. ლენინს გადაეხდეს საბავშვო: თავისი ნახტები, სჯავდასხვა ნაწარმები, ავილიები. აღიღდა კონსტანტინის-ისმსკი და საბავშვების შესახებ თავის მონაწირობის წილები.

„მე ისინი დავეყე ზემო სართლის დიოხანში, ვლადიმერ ილიას-მის ითახის გემდით. ვლადიმერ ილიას-გე გაგიღდა ითახში, შეგიღდა საბავშვები და გაიღებო ითახში. მისი უდიდესი სურვილი იყო, რომ ჩვენს პიონერთა ბავშვები აღზრდილიყვნენ შენებულ კომუნისტებად, სოციალიზმის მტრებმშენებლებად“.

\* იმედობა შეყოლებით. A

1923 წელი

**17-25 აპრილი.**— რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XII ყრილობამ აღნიშნა ბავშვთა კომუნისტური მომართობის დიდი მნიშვნელობა. ყრილობამ წინადადება მიიტყვა ყველა პარტულ ორგანიზაციაში დახმარება გვეყრა პიონერთა მომართობის გაუმჯობესებისთვის.

1924 წელი

**21 იანვარი.**— გარდაიცვალა ვლადიმერ ილიას-ქე ლენინი. ამ უდიდესი ადამიანის ნიშნად აღმოცენებულ იქნა გორკიდან კავშირების სახლის სევეტიანი დარბაზში მოსკოვში.

ერთ-ერთი მოსკოველი პიონერი თავის მოვლობებში ვ. ი. ლენინთან პიონერების გამოთხოვების შესახებ წერს:

„ილიას 7 საათზე ჩვენ, პიონერები, შევიკრებოთ პიონერთა ცენტრალურ სახლში, რათა ერთად წავსულებოთ ვლადიმერ ილიას-ქესთან გამოსახობერა...“

„შევიდნენ დარბაზში. მე პიონერული საბავშვო მივეცი: შევიდეთ ვლადიმერ ილიას-ქეს შემო და ვავლიყო: შენ მოკვეი, დიდი ლენინ, მერამ შენი ახდები გამოსქვდის ჩვენი რიგებში დიდადის არჩება.“

**23 მაისი.**— წითელ მოედანზე, მოსკოვში პიონერთა ორგანიზაციისათვის ვლადიმერ ილიას-ქე ლენინის სახლის მინიჭებასთან დაკავშირებით შესდგნა ბორჩა პიონერთა პირადი პარტიული რუსეთის კ. პ. (მ) XIII ყრილობის დღეებზე. ამანება სტალინმა ჩამოთავა პიონერთა ჩაშნების როგორც. პიონერებმა ლენინის საქმისადმი ერთგულების წყეცა დასწესეს.

(დავტრება იქნება)



## პიონერი

პიონერი კომუნისტული საშა ჩეკაიანი ვლადიმერ ახალგაზრდა საბავშვო ორგანიზაციის გმირი იყო. იგი დაიბადა 1925 წლის სოფელ ვესკოვსკიაში (ლენინგრადის რაიონი).

საშა ჩეკაიანი მუცელ განვითარებულ ბავშვად იყო. გრძელბოი ბავშვად ლევ ვლასოვს, შ. გორკის, ფ. დურანთის წინააღმდეგობა. მის სუფრასე გმირთა რიგში იყვნენ ადამიანად ნდობა, სურვილი, ხელოვნობა.



როცა 1941 წლის გერმანულმა პარტიკა მუცელად იქნა, საშა, მამასთან ერთად, მიიტყვა ლენინ ჩაშნის უფალი.

ჩაშნის საშა თავისი რეალური იყო გმირი იყო, როგორც რადიკალიზაციის (რადიკალიზაციის) კონს ტრეხა ადრე მან პიონერთა ჩაშნის წარმომადგენელი, მუცელ ამის საშა ჩეკაიანი განუთხრობს მუცელის სახლი დამკვიდრდა. ერთხელ მისი შეპირებულება მოუხდა აი და შეიტანა, გრძელბოი ხელშეწყობითი დახმარება, საშა კი მშენებელი მოკლე.

ერთ-ერთი დავეტყვებს რომ საშა სოფელში ვლადიმერი ილიას-ქეს დიდობა აი იმერტიბა, დახსენებს გერმანობის საშა მან ჩვეულობის ცხოვრო, მერამ უფროსა არ ავივდილი. გერმანებელმა საშა შეიტყვინა, დაიჯობის დროს ის საშინელ ანაბის, მერამ საშა სიტყვა არ უტყვის თავისი თანმებრძოლების ახალგაზრდა მოკლე შესახებ.

განსჯებას საშა, როდესაც გერმანელმა დახმარების ხანრობულად ავივინა, დაუჯობა ახალგაზრდა. მერამ უფროსა იყვნენ ბავშვი ვირონი და ილენია იმერტიბილიცა.

საშა ჩეკაიანი დარბაზული მის მშობლობურ სოფელში, რომელიც ახლ ეგმირი კემუნისტების სახლი იტყვის.





მ ო თ ხ რ ო ბ ა

ქალაქ ჟატის ვუახლოვდებოდით.

ჩვენს წინ გადაშლილი იყო სუდეტის ველები. მარჯვნივ იარუსებივით აძართულიყვნენ ხშირი გორაკები. ნაძვნარის კენწეროები ირხეოდნენ საღამოს ბინდში. გვესმოდა საზიდრების ბორბლების გაუთაფებელი ხრივინი, ცხენების ჭიხვინი.

მალე გზის პატარა შეღმართს გადავცდით და ახლოს დავინახეთ ქალაქი ჟატცი. აქ უნდა დაგრჩენილიყავით ერთი დღე, რასაც სისხარულით მოგელოდით ყველანი: ომი უკვე დასრულებული იყო და დიდი ხნის ნაბრძოლებს გვწყუროდა მოსვენება.

მე და პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი ვასილი ერთი სახლის წინ გავჩერდით, მტერიანი ჩექმები შემოვიბერტყეთ და დინჯად დაჰაკუნეთ კარზე, რომელზეც შიკრული იყო მუყაოს ნაჭერი სახლის პატრონის გვარის წარწერით. მალე ჩქარი ნაბიჯების ხმა მოგვესმა, ჭრიალით გაიღო გადარაზული კარი. გამოჩნდა დიასახლისი.

— თქვენთან ღამე უნდა გავათოთ, დიასახლისო, თუ ნებას დაგვრთავთ.

— ბარძო პროშუ, პანოვიე, — რატომღაც პოლონურად გვიპასუხა ქალმა. (შემდეგ გამოირკვა, რომ იგი ვარშაველი ყოფილა).

დიასახლისმა დიდი სიღარბაისლით გვთხოვა ოთახისაკენ წავსულიყავით. მცირე ხანში ყველა ოჯახის წევრთან გამოვნახეთ საერთო ენა, თავი ძლიერ თავისუფლად გვეჭირა: ვიგრძენით, რომ ჩეხებს არ ეწყინათ ჩვენი სტუმრობა. 16 წლისა იქნებოდა ჩეხი მასპინძლების ქალიშვილი ჰელგა, რომელსაც შავი

და კეთილი თვალები ჰქონდა. მამამისი ააშუალო ტანის კაცი იყო, პროფესიით ხარაზი.

— მოისვენეთ, ბატონებო, თქვენთვის უკვე გაშლილია ლოგინი. ვიცი ძლიერ დაგლოდათ გზა. მზრუნველობით მოგვმართა დიასახლისმა, როცა ვივახშმეთ და სუფრიდან წამოვიშალეთ.

\* \* \*

მეორე დღეს ადრე გამეღვიძა. ჯერ ხეირიანად არც კი ამოწვერილიყო ივნისის მზე. კარგად მოსვენებულს, სიზმარი შეგონა ჩემი განვლილი საბრძოლო ცხოვრების დღეები, მხოლოდ ოფლით გამავეებულმა და დამტვერილმა ჩემმა ტანსაცმელმა, რომელიც დიასახლისს სკამზე გადაეკიდა; დამარწმუნა ჩემი თავგადასავლის სინამდვილეში.

ჩემი და ვასილის ფეხსახვევებიც გაერეცხა მადლიან ქალს და ფანჯრის თაროზე გადაეკიდნა. მიუხედავად იმისა, რომ ადრიანი დილა იყო, მასპინძლები ფეხზე იყვნენ. მათი ფუსფუსით მივხვდით რა მზადებაშიც იყვნენ ისინი: საუზმეს აჩქარებდნენ, როგორც ეტყობოდათ. კარებთან ჰყეფდა ძაღლი, შინ შემოსვლას ითხოვდა. დიასახლისი ფეხაკრევით მივიდა კართან და გააღო; გაუჯავრდა, ჩეხურად დატუქსა, მაგრამ ლეკვი თავისას არ იშლიდა, იქნევიდა კუდს, გახარებული ახტებოდა პატრონს, შემდეგ ოთახში შემოცუნტულადა, ჩემს საწოლთან გაინაბა, თვალებში შემომჩერებოდა, თითქოს ელოდა შიალერსებას; რათა, გათამამებულს, ლოგინიდან გადაკიდებული ჩემი ხელი გაელოკა.

— როგორ გეძინა? — მკითხა ვასილმა, როცა გამოიღვიძა.

— ძალიან კარგად.

— ავდგეთ, ხომ იცი საქმე გვაქვს მე და შენ.

— ვიცი.

ორთვენი ავდექით, პირი დავიბანეთ, გამოვფხიზლდით. ჩინებულ ხასიათზე ვიყავით. ვასილი ფორტეპიანოს მიუჯდა და ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია გაიხსენა. ჩვენი ჩეხი მასპინძლები შემოგვეხვივნენ და გაკვირებული უსშენდნენ ვასილს.

— გერმანელებმა სთქვეს, რუსი ოფიცრები უვიცეები არიანო, არა მამა! ასე არა სთქვეს? — შესჩივლა შეთვალა გოგონამ მამას.

— ისინი, შვილო, იმასაც ამბობდნენ, რუსები დაგზოცავენო, მაგრამ მართალი გამოდგა?! რა დასაჯერებელია, შვილო, გერმანელების ნათქვამი! — ისევ გაჩუმდნენ.

მასპინძლები აღტაცებით უსშენდნენ ვასილს, რომელსაც წარბები მაღლა ასწეოდა, თხელი ტუჩები ოდნავ გახსნოდა და იქრდან თეთრი სასიამოვნო კბილები უჩანდა.

— აბა, ახლა თქვენც მოგვასმენინეთ თქვენი ჩეხური მუსიკა, — მხიარულად მიუბრუნდა ვასილი მასპინძლებს, — ან ისევ ჩვენ განვაგრძობთ, თუ გნებავთ, — და ვასილმა ჩემი თავი ჩეხებს სიმღერის დიდ მოყვარულად გააცნო. მათი დიდი თხოვნის შემდეგ ვასილი ისევ მიუჯდა ფორტეპიანოს. მე შევასრულე ლეონკოვალოს „რიურაჟი“, შემდეგ დარგომიუსკის ორი რომანსი. აღტაცებით მიკრავდა ტაშს გოგონა. ცოლ-ქმარი მთხოვედა კიდევ

მემღერა რაიმე, მაგრამ უკვე დრო იყო, ჩვენი აქმისთვის მიგვეხედა.

მე და ვასილი წამოვდექით და, პირობისამებრ, შევუღდექით ჩვენს საქმეს: კლუბის უფროსს გადავუტანეთ ნივთები და რამდენიმე ახლად მიღებული ამხანაგ სტალინის პორტრეტი, რომლებიც ავიტასზიდრების მოსართავად იყო საჭირო.

\* \* \*

— პან ოფიცერს ერთ რამეში უნდა გამოვუტყუდე! — ჩუმად მითხრა ყურში სახლის პატრონმა.

— რა გინდათ მითხრათ?

— უ მენია დომა ესტ შპატნი ჩელოვეკ.

ამ წინადადებაზე ძლიერ დამაინტერესა. ყველა სიტყვა გავიგე „შპატნის“ გარდა, რაც თურმე ჩეხურად ცუდს ნიშნავს.

— ვისზედ ლაპარაკობ? — გაკვირვებით ჩავეკითხე ჩეხს.

ვასილიც გაკვირვებული იყო ჩვენი ლაპარაკით. ჩეხმა ორივეს ჩავგვიდა ხელი და კიბით სხვენში აგვიყვანა. მის თვალებში რაღაც საიდუმლო აზრი ტრიალებდა. ვიდრე მდგომარეობაში სავსებით გავერკვეოდით, მე და ჩემს მეგობარს გახსნილი გვექონდა რევოლვერის ბუდეები. მალე გავიგეთ, რომ ჩვენი მასპინძლის მეზობლად გერმანელი ცხოვრობდა, რომელიც ხშირად აგინებდა კომუნისტებს. ეს პრინცი თურმე გაქცევას აპირებდა გერმანელების უკანდახვევის დროს და ვერ მოასწრო: იგი კეტით დაუმორჩილებია ჩვენს ნაცნობ ჩეხს და სხვენში ჩაუკეტია.

— აი, ბატონებო, მე დაგარწმუნებთ, რომ გერმანელებს უყვართ ბრძანების ზუსტი შეს-



რულებს, როცა მათ ძლიერ ეშინიათ. — ხუმრობით გვითხრა ჩეხმა და შემდეგ დაუმატა: — ამ ოთახში თქვენ ნახავთ მორალურად დაცემულ ფრისს, რომელიც პირისახით კედლისკენ იქნება მდგარი. ასე ვუბრძანე მას დგომა.

მართლაც გაიღო კარი და დადინახეთ ტანმორჩილი მამაკაცი. კუთხეში პირისახით კედლისკენ მდგარი.

— ამგვარად, ხომ ურჩ მოწაფესა სჯის მასწავლებელი! — გავხუტე კაზიმირს. (ასე ეძახდნენ ჩეხს). გერმანელს არ მოუხედია ჩვენსკენ. როგორც ჩანს, ვერ გაბედა ჩეხის ბრძანების დარღვევა.

ერთგვარი კმაყოფილების გრძობით ვუყურებდით მე და ვასილი ჩვენს მოსაუბრეს. შემდეგ უღრჩიეთ მას, გერმანელი ჩეხთა პოლიციისათვის გადაეცა და ისევ ქვევით ჩავედით. შასპინძლის ცოლსა და შავთვალა გოგონას სტალინის ერთი პორტრეტი გაეშალათ და გატაცებით დაჰყურებდნენ.

— გაუმარჯოს მარშალ სტალინს! — შემოგვძახა გოგონამ.

მე და ვასილს ჩაგვეცინა. ვკითხეთ მათ, თუ უყვართ ჩვენი ბელადი.

— ძლიერ, ძლიერ გვიყვარს — გაბრწყინებული თვალებით გვიპასუხეს ჩეხებმა.

ჩეხებს სტალინის პორტრეტი გაიხუჭეთ. საუკეთესო ჩარჩოში ჩასვეს, და ფორტეპიანოს თავზე დაჰკიდეს. გოგონამ ყვავილების დიდი თაიგული მოიტანა, პორტრეტის ქვეშ ლარ-

ნაკში ჩასდო და ანკარა წყალი დააპყურა ცრცხალ ყვავილებს.

გამომშვიდობებისას ჩეხებს მადლობა გადაუხადეთ და, მათი თხოვნისამებრ, ჩვენი ფოტოსურათები დავეტოვეთ სახსოვრად.

\* \* \*

ჩვენი დივიზია მარშით დაიძრა. შიგდობილი მტერიანი და ქვიანი გზებით. უნდა გაგვევლო გერმანია, პოლონეთი... დიდი გზა იყო გასავლელი მშობლიურ მიწა-წყლამდე. მთელი დღე ვიარეთ, მხოლოდ ორჯერ დავისვენეთ. წინ საქსონიის გორაკები მოსჩანდნენ, ბინდებოდა. ისევ გვესმოდა საზიდრების თვლების გაუთავებელი ხრიგინი და გახურებული ცხენების ჭიხვინი.

თავში ათასგვარი აზრი მიტრიალებდა. მელანდებოდა მშობლიური, მზიანი თბილისი, რომელიც ოთხი წელია არ მენახა...

ჩამოხედილა. გორაკებიდან გრილმა სიოლმა ჩამოიქროლა. დაღლილმა მუხლებმა სიმხნევე იგრძნეს. სოფელში შევედით. მე და ვასილი ერთი სახლის წინ გავეჩრდით, ერთხილად დაეაკუნეთ.

— თქვენთან ღამე უნდა გავათიოთ, მიიღებთ სტუმრებს?

პირფართო ჩეხმა თავაზიანად გვიპასუხა:

— კეთილი იყოს რუსი ოფიცრების მობრძანება.

## ჩემო პატარა თოლიავ!

ძმებო! აცალეთ გაფრენა,  
ერთები გაშალოს აფრებად,  
გადაიაროს ზღვა ვრცელი,  
ხან მშვიდი, ხანაც ტიალი,  
იქნებ შემოხვდეს ქართველი  
შავი ზღვის პირად, სამხრეთით  
ოცნებით ღამის იამთენი,  
აქეთ მზირალი ტრფილით.  
იქნებ ასუნთქოს მას ერთებით  
თან გაყოლილი ნიავი.  
ჩემო პატარა თოლიავ,  
სამხრეთი განა შორია?!  
ერთები გაშალე უშიშრად  
და გადასერე ლურჯი ცა;  
სადაც კი ნახო ბუნარი

და კვამლი ცისკენ აშლილი,  
ტკბილი სალამი უთხარი  
წინაპრის მნახველ ბავშვივით.  
იქ ქართველები სახლობენ,  
ქართული მიწაც იქ არი.  
იქ ნახავ მრავალ ახლობელს,  
გადაუხსენი ცის კარი.  
უთხარ ამ მთის და ბარისა,  
უთხარ იმედიც ხვალისა.  
ვით აქ, მერმისს იქ გვენახოს  
ხალხი გულლადი ამგვარად,  
მზეს დაეჩრდილოს შუქითა  
მთვარე მკრთალი და ნამგალა.

პავლიან ქარლიანი

# ჭკვიანი მასპინძლები

ნ ა რ კ შ მ შ ი



ვტომ ქშენით ამოათავა უკანასკნელი აღმართი, მისი მგზავრები არ გვანან სხვებს, ამიტომ მოდის იგი ასეთი ყრიაშულით. ავტოს ავტო მოსდევს, განა ერთი და ორი!

ნაძენარში მიმოფანტულმა დამსვენებლებმა ცნობისმოყვარეობით გადაითვალეს თორმეტი ავტო, მწყობრად ჩამწყრივებულნი.

ავტოებიდან ჩამოსხდნენ ნორჩი პიონერები. მათმა საყვირმა პიონერული სალაში მისცა ბახმაროს მშვენიერ მთებს.

ზღვის დონიდან 2.000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე წალკოტს ქალაქ მახარაძიდან სტუმრად ეწვია საბავშვო სახლის ბინადარი 150 ბავშვი. ავტოები გუგუნით მიადგნენ ნაძენარში აშენებულ დიდ სახლს. მის კარგ მიდამოზე იქვე მომდინარე მთის ნაკადულის დუდუნნი თუ ისმოდა აქამდე, ახლა კი ეზო გაივსო ცქრიალა ბავშვებით, მათი ყრიაშულით.

\*\*\*



ავშვები ხალისიანად ატარებდნენ დროს, გეგმაშეწონილ შრომასა და სეირნობაში.

ერთ დღეს შორიგე მასწავლებელმა უთხრა ბავშვებს, რომ საღამოს მათ მასპინძლობა უნდა გაუწიონ სახელოვან გმირს — ვლადიმერ ლურსმანაშვილს. ზოგს დაევალა ლექსი უთხრას გმირს, ზოგმა სიტყვით უნდა მიმართოს. ცეკვასა და სიმღერაში ხომ მრავალი მიიღებს მონაწილეობას. არა, არ შერცხვებიან ბავშვები. ღირსეულად შეხვდებიან სასურველ სტუმარს. მაგრამ მოთბინება არ ჰყოფნით, ნეტავ მალე დაღამდესო, ნატრობენ.

შეექმნათ ცხარე კამათი: პატარების წარმოდგენით გმირი უსათუოდ მაღალი, მსუქანი და ღონიერი კაცი იქნება, უფროსი ბავშვები კი უმტკიცებდნენ, შეიძლება გმირობა ტანმორჩილებმაც ჩაიდინოსო.

ხალისიან შრომაში მიიწურა დღე. საღამო უამს ნიაგი ჰქროდა. აღისფერ დროშას ნაზად არხვედა. ამ დროშითა და ყვავილებით საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული ბავშვები აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ ლურსმანაშვილს.

და როცა მომღერლებმა დაასრულეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, ერთი გოგონა გამოიყო სხვებს, შეხედა გმირს მოკრძალებით და სიყვარულით მიმართა:

— ძვირფასო სტუმარო, ბევრი გვსმენია თქვენს შესახებ, ზეპირად ვიცით ლექსი თქვენს გმირობაზე, ვიცით, რომ სამამულო ომის დაწყებისთანავე ექვსი ძმა წახვედით საომრად, ოჯახს მხოლოდ ორი ძმა დაუბრუნდით.

ჩვენ გვესმის გულისტკივილი იმ დედისა, რომელმაც ოთხი შვილი დაჰკარგა, ჩვენ ვგრძნობთ სიხარულს და სიამაყეს იმ დედისას, რომელმაც სამშობლოს თქვენებრ გმირი გამოუზარდა.

თქვენ განვლეთ სისხლიან ბრძოლებში სახელოვანი გზა და გამარჯვების დროშა ისე გამოატარეთ, როგორც ეს შეჭფერის დიდი სტალინის არმიის მეომარს.

მამაცობისა და შეუბოვარი ბრძოლებისათვის თქვენ ათჯერ ხარტ დაჯილდოებული და მიიღეთ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

არაერთხელ დაჭრილხართ, მაგრამ მტრის მახვილით მიყენებული ჭრილობა თქვენს ვაჟკაცურ ბუნებას დაუძლევია, და ჩვენ გვიხარია, რომ ასე ჯანსაღს გხედავთ.

ახლა, გამარჯვებულ სამშობლოში ჩვენ უფრო ბედნიერად ვგრძნობთ თავს; საბავშვო ბაღში, ამ კომუნისტურ ოჯახში, ჩვენ არ გვაკლია მოვლა, აღზრდა, მშობლიური სითბო. ესწავლობთ ბეჯითად. 117 მოსწავლიდან 30 ხუთოსანი ვართ, 40—ოთხოსანი. ფიზიკური შრომაც გვიყვარს. ჩვენი წვლილი შეგვაქვს სტალინური ხუთწლედის შესრულებაში. წელს მოგვრიდეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 40 ტონა ჩაის ფოთოლი. 16 ჰექტარზე მოწყობილი გვაქვს დამხმარე მეურნეობა, რომელსაც ჩვენვე ვამუშავებთ და მიღებულ დოვლათით კიდევ უფრო ვამდიდრებთ ჩვენს კომუნისტურ ოჯახს.

ჩვენ ვაფასებთ ბოლშევიკური პარტიის მზრუნველობას ჩვენზე.

უსაზღვროდ გვიყვარს დიდი სტალინი და მუდამ ვიქნებით მისი ერთგული.

ჩვენ მოგბაძავთ თქვენ, სახელოვანო მებრძოლო, გმირობასა და ვაჟკაცობაში, ვისწავლით, როგორ უნდა ებრძოლოთ სტალინის იდეისათვის, სამშობლოსათვის.

მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე, ძვირფასო სტუმარო!

ამ შეხვედრას ესწრებოდნენ თბილისის პიონერთა სასახლის ტურიზმისა და ალბინიზმის კაბინეტის ნორჩ ტურისტთა ლაშქრობის მონაწილენი. მათ თავიანთი გულისნადების გამოთქმა გაა ქიქოძეს დაავალეს.

— შარშან ჩვენ დავათვალიერეთ ქართლი,—დაიწყო მან,—გადავლახეთ თრიალეთის ქედი, ვნახეთ გიორგი სააკაძისეული კოშკი, ვნახეთ დიდგორი, სადაც დავით აღმაშენებელმა სახელოვანი ქართველი ჯარით თურქები დაამარცხა; ჩავედით წითელქალაქში, სადაც ცხოვრობდა ეკატერინე გაბაშვილი და სწერდა თავის მშვენიერ, გულისგამთბობ მოთხრობებს. წელს სიხარულით გამოვემზავებთ თბილისიდან თვალწარმტაც გურიისაკენ და აღტაცებული ვართ მისი სიტურფით.

ჩვენ ვნახეთ გურიაში ასკანისა და ლიხაურის ციხეები. ვნახეთ გურული გლეხების ისტორიული ბრძოლების ადგილები ნასაკირალთან. ქალაქ მახარაძიდან ფეხით ამოვედით ბახმაროზე წვიმასა და თქეშში, მაინც ყველანი საღად ვართ. ბახმაროს მთების უმაღლეს მწვერვალ „საყორნიაზე“ ავალთ და შემდეგ ქვეითადვე ჩავალთ ქობულეთში.

დღეს ჩვენ, ნორჩი ტურისტები, ამ მშვენიერი ბუნების წილში შეგხვდით თქვენ, სახელოვან ქართველ გმირს, დავალებული გვაქვს ტურისტული ბანაკის პიონერთა სახელით გადმოგცეთ მხურვალე სალაში და მოგახსენოთ დიდი მადლობა დიდი სამამულო ომის სახელოვან მონაწილეს.

სიტყვების მთქმელნი მელექსეებმა შესცვალეს, მომღერალთა გუნდი კი შეხმატკბილებით იმეორებდა:

„იმღერეთ საქართველოში

ლურსმანაშვილის გმირობა!“.



უღბილი შეხვედრის საპასუხოდ გმირმა ბავშვებს უამბო განვლილი ბრძოლების ერთი ეპიზოდი:

— ბრძოლები მიმდინარეობს უკრაინაში. ზამთარია. ვხედავ, მუხლამდე თოვლს ჭაპანწყვეტით მოარღვევს პატარა ბიჭი. მოვიდა, მოგვესალმა.

— შენც გაგიმარჯოს, ვინა ხარ, ბიჭიკო, რა ამბავი მოგვიტანე? ბავშვი ჩაფიქრდა, სახეზე ეტყობოდა, არჩევანში იყო: ეთქვა თუ არა?

— თუ ასე გეშინოდა, ჩვენთან რად მოხველ?

ჩემს სიტყვაზე ბავშვმა ამაყად თავი ასწია და თამამად მეუბნება:

— შემომფიცეთ!

— რა?

— რომ არ გამცემთ!

— ჩვენ?! ჩვენ ნაღდი ვაყვაცები ვართ, შენი ვიკითხოთ, თორემ! — შევეხუმრე, მინდა გავათამამო.

— ასეა საქმე, ბიჭიკო, შენ კი უნდა შემოგვეფიცო, რომ მხოლოდ სიმათლეს გვეტყვი!

ბავშვმა წითელი ყელსახვევი შეისწორა.

ისე გულწრფელად მიმზერდა, ისეთი იყო მისი სახის გამომეტყველება, ეჭვის მიტანა შეუძლებელი იყო.

— კეთილი, გენდობით, გვიამბე, გისმენთ!

— აი, აგერ ტყის პირას სახლი რომ მოსჩანს, ჩემი სახლია, — დაიწყო ბავშვმა, — მამა რუსი მყავს, დედა — გერმანელი. მამა ფრონტზეა. ჩვენ სახლში გერმანელები მოდიან ყოველ საღამოს, დედა მათ რძეს ასმევს. ისინი ლაპარაკობენ, სწერენ, ხაზავენ. დედა ამ დროს სულ ფანჯარაში იტყირება. მე ოთახში არ მაყენებს. არ უთხრათ დედას, თორემ მომკლავს!

— ამაზე ნულარ იღარდებ, დიდი მადლობა, პატარა ბიჭო, ახლა წადი სახლში, დანარჩენი ჩვენ ვიცით!

ბავშვი წავიდა. მისი ნათქვამი ავწონ-დავწონეთ და, როცა დაღამდა, მომზადებული წავედით მისი სახლისაკენ.

ასევე თოვდა. სახლს მივაცურეთ, ჩამიჩუმი არ ისმოდა იქიდან. დიასახლისი იძულებული გახდა ჩვენთვის, დაუპატიჟებელი სტუმრებისათვის, კარი გაეღო. ოთახში არავინ იყო. ვავოცდი. ვფიქრობ, ნუთუ იმ პატარამ მოგვატყუა? მაგრამ თვალწინ წარმომიდგა ბავშვის გულუბრყვილო, მართალი თვალები.

— საღ არიან თქვენი სტუმრები, თქვენი ძმაკაცები, გერმანელები?! — მკაცრად ვკითხე დედაკაცს.

— იმათ აქ რა უნდათ?! — ქვა აავდო და თავი შეუშვირა ქალმა.

ლოგინიდან თავი წამოჰყო ბავშვმა, იგი უსიტყვოდ იატაკს მისჩერებოდა. მივუხვდი და... დედაკაცი იძულებული გახდა თავისი ხელით აეხადა სარდაფში ჩასასვლელი კარი.

სინათლე თვალეებში გვეცა. ჩვენ თვალწინ იდგა 7 გერმანელი თავით ფეხებამდის შეიარაღებული. მაგრამ... მათ ერთი ტყვიის გასროლაც არ დასცალდათ...

ასე... პატარა ბიჭმა დიდი ამავი დაგვდო, არათუ აგვაცდინა მტრის თავდასხმა, არამედ მტერი ცოცხლად ხელში ჩაგვადგდინა. მათ თან ჰქონდათ, ცხადია, ჩვენთვის ძვირფასი, საიდუმლო ცნობები თავიანთი არმიისა.

როგორც ხედავთ, სარგებლობის მოტანა თქვენისთანა ნორჩებსაც შეუძლიათ. ოღონდ ამისათვის საჭიროა, უსაზღვროდ გიყვარდეთ ჩვენი დიადი სამშობლო!

ბრძოლების დროს ნანახი მაქვს ტყე, რომლის შემზარავი სურათი არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან: ხის ტოტებზე ჩამომხრჩვალნი ბავშვები, ხის ტოტებზე მკერდამოკვეთილი დედები, ხის ძირას ასო-ასოდ დაკუწული მოხუცი მამაკაცები, რომელთა მკერდზე გერმანელებს დანით ამოეჭრათ ვარსკვლავები.

ცხადია, ომი უმსხვერპლოდ არ შეიძლება, მაგრამ უიარაღო ადამიანთა, ჩვილ ბავშვთა ასეთი ვერაგული წამება ისტორიას არ ახსოვს. თქვენ გადარჩით ამ ყლექას, თქვენ ბედნიერი ხართ.

თქვენ იცით და მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ არცერთ ქვეყანაში არ არიან ბავშვები ისე ბედნიერნი, როგორც ჩვენში. თქვენ საკუთარი ცხოვრების მაგალითითაც ამაში დარწმუნებული ხართ. ქალაქ მახარაძეში გაქვთ შესანიშნავად მოწყობილი სახლი, არ გაკლიათ საზრდო, ტანსაცმელი, სკოლაში გასწავლიან, და კიდევ უფრო რომ გაჯანსაღდეთ, მოგიყვანეს აქ, შესანიშნავ კურორტზე.

მუდამ გიყვარდეთ დიდი ბელადი, ვინც ჩვენი ქვეყანა დალუპვისაგან იხსნა, ვინც ყველაზე მეტად ზრუნავს თქვენი ბედნიერი სიცოცხლისათვის.

მე კი, თუ დასჭირდა ჩემს დიად სამშობლოს, ვიომეზ ისევ მთელი ჩემი ძალღონით! — დაასრულა თავისი სიტყვა ვლადიმერ ლურსმანაშვილმა.

საპასუხოდ ბავშვებმა წკრიალა ხმით შემოსძახეს „დიდება სტალინს“. მღეროდა გუნდი, გულით კი ბანს აძლევდა ყველა, თვით მთა და ბარიც.

\* \* \*



არსკვლავები ციმციმებდნენ ცაზე. მთვარე ჯერ არ ჩანდა. კვარის კოკონმა გაანათა შიღამო, გაიმართა ცეკვა.

უმცროსი ასაკის ბავშვები ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ უფროს მეგობრებს:

— ხომ ხედავთ, რა მაღალი და დიდი კაცია გმირი! — და თვალს არ აშორებდნენ გმირის განიერ გულმკერდზე მოკიფე ოქროს ვარსკვლავს.



# ჩვენი რკინიგზა

**ჩ**ვენი სამშობლო დიდია და საყვარელი. სადაც უნდა ცხოვრობდეთ, თქვენს შორიახლო რკინიგზა გადის. იქ ყოველდღიურად, ყოველ საათში გუგუნით მიჰქრის მატარებელი. მას გადააქვს: რკინა, პური, ქვანახშირი, ხეტყე და სხვ., გადაჰყავს ათასობით მგზავრი.

აი, გადახედეთ მზიური საქართველოს დედაქალაქ თბილისს: აქ თავს იყრის რკინიგზის ხაზები. გუგუნით მოემართებიან თბილისში მატარებლები წარწერით: „თბილისი-მოსკოვი“, „თბილისი-როსტოვი“, „თბილისი-სოჭა“, „თბილისი - ფოთი“, „თბილისი - სოხუმი“, „თბილისი-ბაქო“... შეხედეთ ამ ვაგონებს და თქვენ იგრძნობთ, რა დიდი მნიშვნელობა

აქვს რკინიგზას ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს სივრცეების ერთმანეთთან დაახლოების საქმეში. იგი შორ მანძილს ახლოს ხდის, ქვეყნის ცენტრს აახლოებს განაპირა მხარეებთან, მეურნეობის მრავალრიცხოვან დარგებს ჩვენი ქვეყნის ერთიან სახალხო მეურნეობად აერთიანებს.

\* \* \*

ამიერკავკასიაში სარკინიგზო მშენებლობა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დაიწყო.

აბა გაიხსენეთ გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, სადაც აღწერილია, თუ რა



ენერგიულად მუშაობდა ჩვენი გლეხკაცობა რკინიგზის გასაყვანად.

საქართველოში პირველი რკინიგზა გაყვანილ იქნა ფოთი-ზესტაფონის უბანზე. ამ ხაზის მშენებლობა 1871 წელს დამთავრდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ. შემდეგ მატარებლების მიმოსვლა თბილისამდეც დაიწყო.

ფოთი-თბილისის ხაზის დამთავრების შემდეგ რკინიგზის მშენებლობა რამდენიმე წლით შეწყდა. მხოლოდ სამოცდაათიანი წლების დამლევისათვის აგებულ იქნა რიონ-ქუთაისის 8-კილომეტრიანი რკინიგზა. ამავე პერიოდისათვის რკინიგზა გაიყვანეს აგრეთვე ბაქოს ნავთის სარეწების რაიონშიც.

1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, რუსეთის ხელში გადავიდა ბათუმი და მისი ოლქი. დაიბადა აზრი ამ სტრატეგიული პუნქტის რკინიგზის მთავარ მაგისტრალთან შეერთების შესახებ, და მართლაც 1883 წელს აგებულ იქნა სამტრედია-ბათუმის უბანზე 105-კილომეტრიანი რკინიგზა. ამავე წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 549 კილომეტრის სიგრძის რკინიგზა, რომელმაც საქართველოს დედაქალაქი თბილისი აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს დაუკავშირა.

მაგრამ ხაშურ-ზესტაფონის უღელტეხილის უბანი თავიდანვე გათვალისწინებული არ იყო იმ დიდი რაოდენობის ტვირთის გატარებისათვის, რაც მას შემდეგ ბაქოდან მოაწყდა. თავდაპირველად რკინიგზა გადიოდა წიფის სადგურის ზევით პონის სოფლის გავლით და ძალზე მიხვეულ-მოხვეული იყო, რის გამოც აქ მხოლოდ 3-4 ვაგონისაგან შემდგარი შემადგენლობა თუ გაივლიდა საათში 10 კილომეტრის სიჩქარით. ადგილმდებარეობის შესწავლის შემდეგ შედგენილ იქნა პროექტი უღელტეხილზე ხაზის გადაკეთების შესახებ.

1890 წლის სექტემბერში დამთავრდა 4 კილომეტრი სიგრძის წიფის გვირაბი. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო მატარებლების მიმოსვლის დაჩქარებას.

შემდეგ წლებში ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობა ასეთნაირად ვითარდებოდა: 1894 წელს გაყვანილ იქნა ხაშურ-ბორჯომის ხაზი (31 კილომეტრი), 1895 წელს —

შორაპან-ჭიათურის (40 კილომეტრი), 1902 წელს — ბორჯომ-ბაკურიანის, 1915 წელს ნავთლულ-თელავ-წნორის (171 კილომეტრი სიგრძისა) და ა. შ.

ამრიგად, პირველი იმპერიალისტური ომის დაწყების წინ ამიერკავკასიის უკვე ჰქონდა 1.874-კილომეტრიანი რკინიგზა.


იმპერიალისტური ომისა და ამიერკავკასიაში დაშნაკების, მუსავატისტებისა და მენშევიკების თარეშის წლებში აქ არამცთუ გაყვანილ იქნა რკინიგზის ახალი ხაზი, არამედ არსებული რკინიგზებიც ძალზე დაზიანდა და მოიშალა.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა სერიოზული ყურადღება რკინიგზის მშენებლობასა და გაჯანსაღებას ამიერკავკასიაში. საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის შრავალრიცხოვანი ფაბრიკა-ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურებისა და უაძრავი სხვა გიგანტების მშენებლობაზე რომ არ ვილაპარაკოთ, მართო სტალინური ხუთწლიელების პერიოდში ამიერკავკასიაში გაყვანილ იქნა 1.060 კილომეტრამდე სიგრძის რკინიგზა.

კერძოდ საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა რკინიგზის ხაზები ნატანებ-მახარაძის (1924 წ.), ბროწეულა-გუმბრი-წყალტუბოს (1935 წ.), გორისტალინის (1940 წ.), ცხაკაია-სოხუმის და ოჩამჩირე-კვეზანის (1941 წ.) და სხვა. შავი ზღვის რკინიგზის აშენებამ და საექსპლოატაციოდ გადაცემამ 800 კილომეტრამდე შეამცირა მანძილი თბილისიდან მოსკოვამდე.

პარტიისა და მთავრობის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ამიერკავკასიის რკინიგზა ერთ-ერთ მოწინავე მაგისტრალად გადაიქცა საბჭოთა კავშირის რკინიგზების ქსელში. ჩვენი რკინიგზის რეკონსტრუქციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ელექტროფიკაციამ.

1932 წელს ელექტროფიცირებულ იქნა ხაშურ-ზესტაფონის უბანი, ხოლო შემდეგ წლებში ელექტროფიცირებულ იქნა ზესტაფონ-სამტრედისა, ხაშურ-ბორჯომისა და თბილის-გარდაბნის უბნები.



ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით, ძველი ტიპის ორთქლძაღვები ახალი, მძლავრი ტიპის ორთქლძაღვებმა შესცვალეს. სავაგონო პარკი გადიდრდა ოთხღერძიანი ცისტერნებით, მეტი ტევადობის ვაგონებით, რომლებიც მოწყობილია ავტომატური მუხრუჭებითა და ავტომატური გადასაბმელებით.

დიდი სამამულო ომის წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკები ჩინებულად ასრულებდნენ თავიანთ ამოცანებს, ისინი მეომრული თავდადებით იბრძოდნენ თავიანთ პოსტებზე და დიდი წვლილი შეიტანეს კაციჭამია ჰიტლერელების განადგურების საქმეში. ახლა კი, მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძვიან ამიერკავკასიის რკინიგზის შემდგომი აღმავლობისათვის, მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის ბოლოსათვის ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროფიკაცია 900 კილომეტრს მიაღწევს.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულ მრავალ გრანდიოზულ მშენებლობასთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობას.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის გრან-

დიოზული გეგმის განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ამიერკავკასიის რკინიგზას 1950 წელს დატვირთვის გეგმა 1945 წელთან შედარებით ერთიორად გააძილოს და დიდად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება.


მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში სერიოზული მოწაობა განხორციელდება კვანძებისა და სადგურების კეთილმოსაწყობად. განსაკუთრებით დიდი სადგურები აიგება რუსთავესა და ქუთაისში. შესამჩნევად გაფართოვდება თბილისისა და ნავთლულის სადგურები. საუცხოო ვაგზლები აიგება სოჭაში, სოხუმში, ვაგრაში, ცხაკაიაში და სხვ. ლამაზი, სააგარაკო ტიპის ვაგზალი დაამშვენებს ბორჯომბაღს.

\* \* \*

ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვები დიდი სიყვარულით სწავლობენ რკინიგზის საქმეს.

ვის არ უნახავს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში საბავშვო რკინიგზა? ჭაბუკი რკინიგზელები სიხარულით მიაქროლებენ ორთქლძაღვს. ისინი ეუფლებიან რთულ ტექნიკას, ემზადებიან იმისათვის, რომ გახდნენ მომავალი ინჟინრები, ტექნიკოსები, მემანქანეები.

ზ. ზოჭუა



# მოხარდმაყურებელთა თ ე ა ც რ ი

დარბაზში სინათლე ჩაქრა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. მუსიკის ხმაზე ფარდა ნელ-ნელა გადაიწია. ნორჩმა მაყურებლებმა თვალი მიაპყრეს სცენას.

წარმოდგენა დაიწყო.

ტყეში პატარა ქაჯუნები ურემს მოაგორებენ, ურემზე უზარმაზარი ქვაბი დგას, ქვაბში ჩამჯდარა დედა ქაჯი დულარდუხტი.

— გასწით, გასწით, — უყვირის იგი დაღლილ-დაქანცულ ქაჯუნებს, რომლებიც დასასვენებლად შეჩერდნენ. გაბრაზებული დულარდუხტი ურმიდან გადმოდის.

— ჩემი შვილი მოდის, — იძახის ბოლოს იგი და თავის შვილს რომაქს მხიარულად ეგებება. რომაქს ოჯახისათვის ტომარში ჩაგდებული ადამიანი მოჰყავს. ამით გახარებული ქაჯები უცნაურად ყვირიან და ცეკვავენ თავისი მსხვერპლის გარშემო.

ასე იწყება მოხარდმაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის წლევანდელი პირველი ახალი დადგა, მიხეილ ჯაფარიძის ზღაპარი „ლამპარი“.

პიესაში ასახულია სიკეთისა და სიბოროტის ბრძოლა. როგორც ეს დამახასიათებელია ქართული ზღაპრისათვის, საბოლოოდ იმარჯვებს სიკეთე. ბოროტებს წარმომადგენელი რომაქი იღუპება.

სიკეთის გამარჯვება ნორჩ მაყურებლებში აღტაცებას იწვევს და პიესის დასასრულს თეატრის დარბაზში ბავშვების ტაშის გრიალი იგისმის.

\*\*\*

მეორე პრემიერად თეატრმა თავის მაყურებელს უჩვენა ს. ანტონოვის პიესა „ჩვენა ახალგაზრდობა“ (თარგმანი ს. ფაშალაშვილისა). პიესა მოგვითხრობს იმ გმირ ახალგაზრდებზე, რომლებიც დიდი სამამულო ომის დროს თავგანწირვით ებრძოდნენ გერმანელ ბარბაროსებს.

მშვიდობიანად ცხოვრობს რუსეთის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებელი ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ვოსკრესენსკი. იგი წლების განმავლობაში ჩვენს ახალგაზრდობას დაუღალავად ასწავლიდა სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსადმი, მაგრამ 1941

წელს საბჭოთა პატრიოტი პედაგოგის ბინა შებიღულ იქნა გერმანელ ბარბაროსთა ჩეკებით, მისი სოფელი გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს. მას სახლში ყეყეჩი პროფესორი კრაილტი ჩაუყენეს.

ვლადიმერ ვოსკრესენსკის ერთი წუთითაც არ შორდებიან თავისი საყვარელა მოწაფეები: ლუბა, კოლია და ვანია. ისინი თავდადებულად და მოხერხებულად ებრძვიან მტერს ზურგში, აფეთქებენ ხიდებს, ქარხნებს, ელსადგურებს, სწვავენ გერმანელთა სადგომებს, ხელს უშლიან მტრის ეშელონების მოძრაობას... აი სცენიდან ისმის სამგლოვიარო მუსიკის ხმა—ეს გერმანელ „დიდ კაცს“ ასაფლავებენ. მას ვლადიმერის ღირსეულმა მოწაფემ ვანიამ ყუმბარით მოუღო ბოლო, ვანიაც აღარ არის ცოცხალი, იგი გერმანელმა ჯალათებმა შეიპყრეს და ჩამოახრჩეს. რაიონული კომიტეტის მუშაკების მითითებით ენერგიულად მუშაობენ მასწავლებელი და მოწაფეები.

ვლადიმერ ვოსკრესენსკის ბინაზე ფარული შტაბია, აქ წყდება ყველა საკითხი. აი, მასწავლებელთან მოდის მისი ყოფილი მოწაფე კალუშკინი, ლაჩარი და მერყევი ადამიანი. კალუშკინს გერმანელებმა ქალაქისთაობა შესთავაზეს და იგი რჩევისათვის ვოსკრესენსკისთან მოდის. აღფრთოებული ვლადიმერი მას ეუბნება:

— როგორ, ჩემთან ამისათვის მოხვედით?! აღარ გაბედოთ! განა, მე მაგას გასწავლიდით?!

მიმავალ კალუშკინს შეურაცხყოფილი მასწავლებელი მოაბრუნებს და თხოვნით მიმართავს:

— კალუშკინ! არსად, არასოდეს არა სთქვათ, რომ თქვენ ჩემი ყოფილი მოწაფე ხართ!

პროფესორი კრაილტი წინადადებას აღევს ვოსკრესენსკის იმასწავლებლოს გერმანელების მიერ გახსნილ იმ სოფლის სკოლაში. ვლადიმერი უარზეა, მაგრამ შემდეგ იგი თანხმდება სულ სხვა განზრახვით. ეს მდგომარეობა მან შესანიშნავად გამოიყენა. იგი ბავშვებს უნერგავს ზიზღს მოძალადე-



„ზღაპარი სიმართლეზე“. III მოქმედების II სურათი. ზოია (მსახიობი ე. გვლოვანი) და ბორისი (მსახიობი ა. ბარათაშვილი)

ბის მიმართ. მაგრამ ამ მეტროდოლ პედაგოგს მალე აპატიმრებენ. მას თავის მოწაფეებთან კოლიასთან და ლუბასთან ერთად ულომობლად აწამებენ, მაგრამ ისინი ფიზიკურად უძლებენ წამებას. მათ სწამთ ჩვენი დიადი ქვეყნის საბოლოო გამარჯვება. გერმანელთა ბრძანებით ისინი დასახვრეტად მიჰყავს გამცემ და მოლაღატე კადუშკინს, რომელსაც შემდეგ თვით გერმანელები ჰკლავენ. იღუპება საყვარელი ადამიანი და აღმზრდელი პედაგოგი თავის მოწაფეებთან ერთად. მაგრამ ვაისმის თვითმფრინავთა გუგუნი, არტილერიის გრიალი, მხიარული „ვაშა!“ ეს ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმია მოდის, სოფლები გულთბილად ეგებებიან თავის განმათავისუფლებლებს. სცენაზე ყვავილებით შემორბიან სოფლის გოგო-ბიჭები. შემოდის საბრძოლო ფორმაში გამოწყობილი

ტანკისტი, რომელიც ვოსკრესენსკის მსახურ ქალს პროხოროვას ეკითხება:

— უკაცრავად, ვლადიმერ ნიკოლოზის—ძე აქ ცხოვრობს? მე მისი მოწაფე ვარ!  
შესანიშნავადაა მოფიქრებული ფინალი: ვლადიმერ ვოსკრესენსკის მილიონობით მოწაფე დარჩა. მართალია, მსხვერპლი იყო, მაგრამ საბჭოთა, ახალგაზრდობის მოსპობა შეუძლებელია. ჩვენი ახალგაზრდობა უღე-ვია.

\* \* \*  
ბავშვები დიდს ყურადღებით ისმენენ ჟიულ ვერნის და დენერის სათავედასავლო პიესას „ოთხმოცი დღე დედამიწის გარშემო“.

თავდადება და სიყვარული მეგობრისადმი, რწმენა გამარჯვებისა, მოხერხება, გამბედაობა, გამძლეობა, — აი რაზე მოგვითხრობს სათავედასავლო ამბებით აღსავსე ეს ცნობილი ნაწარმოები.

\* \* \*  
თეატრმა თავის მეოთხე დადგმა უმცროსი ასაკის მოსწავლეებს უძღვნა. ეს არის როდიონ ქორქიას პიესა-ზღაპარი „მართალი კაცი“.

კოლხეთის ერთ-ერთ ტყეში ცხოვრობს შველი თოლისქვამი თავისი ნუკრით. „კოლხეთშენის“ მუშაკები ეკალ-ბარდებს კაფავენ, ჭაობებს აშრობენ, რომ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ციტრუსოვან ბაღნარად გადაიქცეს. ბაყაყი და კოლო შეშფოთებული არიან, რომ მათ ამ საყვარელ მხარიდან გასახლება მოელით. სწუხს შველის ოჯახიც.



„მართალი კაცი“. შუაში—ცეკვავს კოჩანა (მსახიობი გ. კუბრაშვილი), კოჩანას უკან ნუკრი (მსახიობი თ. თვალაშვილი) და ნუტრია (მსახიობი ე. ღვისაძე).

ნუკრს უმეგობრდებოან პიონერები კოჩანა და ასანდა და მათი დახმარებით ბოლოს ქალაქ-კომის მდივანი ნუკრს შეპირდება, რომ ის ადგილი, სადაც ამჟამად შვლის ოჯახი ცხოვრობს, გამოცხადდება ნაკრძალად, რომ იქ შესვლა არ შეეძლება მონადირეებს. გახარებული ნუკრი თავის საყვარელ დედასთან და მეგობრებთან ერთად ზეიმობს ამ სასიხარულო ამბავს, ხოლო კოლა და ბაყაყი განდევნილ იქნენ კოლხეთის მიდამოებიდან.

\* \* \*

მოზარდმაყურებელთა თეატრის წლებად მესხეთე დადგმას მაყურებლები დიდოს მოუთმენლობით ელოდნენ. მათ სურდათ სცენაზე ენახათ სტალინური პრემიის ლაურეატის მ. ალიგიერის დრამატული პოემა „ზღაპარი სინამდვილეზე“ (თარგმანი მარიჯანისა), სადაც წარმოსახულია მოსკოვის, ოქტომბრის რაიონის 201-ე სკოლის, მე-10 კლასის მოსწავლის, სამშობლოსათვის თავდადებულ საბჭოთა პარტიზან გოგონას ზოია კოსმოდემიანსკაიას ცხოვრება, რომელიც 1941 წლის 29 ნოემბერს გმირულად დაიღუპა სოფელ პეტრიშჩევოში გერმანელ ჯალათების ხელით. ზოია კომკავშირის მოწოდებით სწორედ მაშინ შევიდა პარტიზანულ რაზმში, როცა გერმანელი ურდოები საბჭოთა კავშირის დედაქალაქს — საყვარელ მოსკოვს უახლოვდებოდნენ. ერთხელ, როდესაც ზოია შეეცადა მტრის ღირსშესანიშნავი ობიექტისათვის ცეცხლის წაკიდებას, იგი ხელთ იგდეს გერმანელმა ბარბაროსებმა. ნორჩი მაყურებლები იცნობენ საბჭოთა კავშირის გმირის ზოიას სიმამაცეს და თავგანწირვას.

იწყება სპექტაკლი. ფარდა აიხადა. გამოჩნდა ზოია. იგრილა ტაშმა. მთელი დარბაზი უსმენს მის ცოცხალ და შინაარსიან საუბარს. ზოია თავის მეგობრებშია. მისი ამხანაგები კითხულობენ ზოიას შინაარსიან დღიურს; ზოია პირნათლად ასრულებს სხვადასხვა დავალებას. იგი მტკიცეა და დისციპლინის მოყვარული.

უკანასკნელი სურათი.

ნაწამები და ნაცემი ზოია ბნელ ოთახში

შამოაგდეს გერმანელმა ჯალათებმა. ზოია ცულადაა. მას სიცხე აქვს, ბოდავს. სიზმარში ხედავს თავის მეგობრებს, საყვარელ დედას, პატარა ლუსკას. იგი ფეხზე ამდგარი ესაუბრება დიდ სტალინს, მადლობას უხდის ბელადს იმისათვის, რომ მოსკოვთან საბჭოთა არმიის ნაწილები გენერალურ შეტევაზე გადავიდნენ. მაგრამ, აი, მოისმის გერმანელთა ფეხის ხმა. სახრჩობელა უკვე მზადაა. ზოია უნდა წაიყვანონ. გოგონა არც ერთი წუთითაც არ შემკრთალა. ზოია სიმღერით ეგებება სიკვდილს. ასეთი ადამიანები, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს, არასდროს არ მოკვდებიან.

ეს სპექტაკლი საინტერესოა იმიტაც, რომ მისი დადგმა მთლიანად განხორციელებულია ახალგაზრდა მსახიობების მიერ.

ამ ხუთი ახალი დადგმის გარდა წელს მოზარდმა მაყურებლებმა ნახეს აგრეთვე განახლებული დადგმები ქ. ქუჩუკაშვილის „ზამთრის ზღაპარი“, კ. გოგიაშვილის „ბალნარში“, შვარცის „წითელქუდა“, ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ (ინსცენირებული ა. კაჭკაჭიშვილის მიერ), „ალმასის საბადოები“ და სხვა. სულ წელს თეატრმა გამართა 305 წარმოდგენა, რომელიც ნახა 137.250 ნორჩმა მაყურებელმა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრს, რომელსაც მომავალ სეზონში არსებობის 20 წელი უსრულდება, კარგი შემოქმედებითი კოლექტივი ჰყავს. დაუღალავად მუშაობენ და შესანიშნავ სცენიურ სახეებს ქმნიან რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: გ. კუპრაშვილი, თ. თვალთაშვილი, გ. დარისპანაშვილი, ნ. გვარამე და ვ. არემიძე. მსახიობები ი. ნინუა, ალ. კაჭკაჭიშვილი, დ. ძნელაძე, გ. დვისაძე, მ. ერგენელი, ალ. ლვინიაშვილი, თ. კანდელაკი, დ. ცხაკაია, ვ. მაჩაიძე, ალ. თაბორიძე, მ. გაგნიძე და სხვები.


თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი სიყვარულით ემსახურება თავის მრავალრიცხოვან ნორჩ მაყურებლებს.

კ. გოგიაშვილი.





# ჩვენ იწიწი



დიდი ხანია განზრახვად გეჭონდა გამოჩეკილიყო წიწილა უკრუხოდ. სკოლაში გვაქვს პატარა ინკუბატორი. მასწავლებელმა გაგვაცნო მისი დანიშნულება. 21 დღის განმავლობაში, როცა მასში კვერცხები აწყვია, ისეთივე სითბო უნდა იყოს, როგორსაც კრუხი უქმნის კვერცხებს. ეს სითბო კი დაახლოებით 39 გრადუსს უდრის. ჩვენც შევამოწმეთ ჩვენი ინკუბატორი. დავრწმუნდით, რომ მასში სითბო 39 გრადუსამდე აღის, როცა ავზაში ცხელ წყალს ვასხამთ და შემდეგ ნათურას ვუწებთ.

ახლა უკვე საზრუნავი გახდა კვერცხები. რადგან ჩვენი ინკუბატორი 15 კვერცხს იტევდა, შევარჩიეთ 15 ახლადდადებული და სადა ნაჭუჭიანი კვერცხი. ზოგ კვერცხს ნაჭუჭი გასქელებული აქვს და ეს გასქელება კვერცხს სალტედ აქვს შემორტყმული. ასეთი კვერცხები დავიწუნეთ, რადგან ისინი ძნელი გასატეხია და ზოგჯერ დასრულებული წიწილა ჩაკვდება ხოლმე კვერცხში იმიტომ, რომ ასეთი გასქელებული ნაჭუჭი ვერ გამოუტეხია.

თუმცა კვერცხები ბევრჯერ გავვიტეხია და გვინახავს კიდევ მისი შიგთავსი, მაგრამ ძალიან გვეინტერესებოდა გვენახა, არის თუ არა კვერცხში თვალით დასანახი ისეთი ნაწილი, საიდანაც ვითარდება წიწილა?

მასწავლებელმა გატეხა ერთი კვერცხი, ცილა გადაასხა ერთ ლამბაქზე, გული გამოიღო მეორე ლამბაქზე. დავაკვირდით კვერცხის გულს და ზედაპირზე შევნიშნეთ პატარა დისკო. ეს დისკო ყოფილა წიწილის ჩანასახი.

როგორც მასწავლებელმა გავვიმარტა, ჩანასახი იწყებს განვითარებას ქათმის სხეულშივე, მაგრამ ქათამი კვერცხს რომ დასდებს, ჩანასახის განვითარება ჩერდება, რადგან მას პირობები ეცვლება. განაყოფიერებულ

კვერცხში წიწილის ჩანასახი მიძინებულ მდგომარეობაში იმყოფება მანამ, სანამ კვერცხს კრუხს არ ამოვუღებთ, ან ინკუბატორში არ ჩავდებთ. გამოიარკვა, რომ კვერცხი როგორც უნდა დავდოთ, დისკო-ჩანასახი ყოველთვის ზევით არის მოქცეული. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩანასახის განვითარებისათვის: კრუხის სითბო მას უფრო ადვილად სწვდება.


ჩავაწყეთ კვერცხები ინკუბატორში და დავაწყეთ მორიგეობა. ჩვენ გაფრთხილებული ვიყავით, რომ ტემპერატურისათვის თვალყურით გვედევნებინა. ჩანასახისათვის სასიფათოა, თუ ტემპერატურა ხანგრძლივად იქნება 40-ზე მაღალი და ასევე სასიფათოა, თუ ტემპერატურამ ძალიან დაიწია და კვერცხები გადაცივდა.

ჩვენს ინკუბატორს აქვს ერთგვარი მოწყობილობა, რომელიც თვითონვე აღებს ინკუბატორის პატარა სახურავს, როცა ტემპერატურა ზომაზე მეტად აიწევს და, პირიქით, ხურავს, თუ ტემპერატურამ ზომაზე მეტად დაიწია. მიუხედავად ამისა, მორიგეობა მაინც დავაწყეთ, მით უმეტეს, რომ საზრუნავი საქმე სხვაც იყო. მაგალითად, კვერცხებს დღეში ორჯერ სჭირდება გადაბრუნება, რომ ჩანასახები არ შეეზარდონ კვერცხის აპკს. გარდა ამისა, კვერცხებს დღეში ორჯერ უნდა ინკუბატორიდან გამოღება და გაგრილება. გაგრილება აუცილებელია ჩანასახების სუნთქვისათვის. ჩანასახის სუნთქვის შედეგად კვერცხში გროვდება უვარჯისი ვაზი. კვერცხი რომ გრილდება, იკუმშება მისი შიგარსი და ამიტომ ნაჭუჭის წვრილი ფორების გზით შიგ ჩაიღის სუფთა ჰაერი.

არც კრუხი აკლებს ჰაერს თავის გამოსაჩეკ წიწილებს. ის დღეში რამდენჯერმე გაღმოდის საბურღიდან ასაქენკად და გასასეირნებლად. ამ ხნის განმავლობაში კვერცხები გრილდება.

პირველ დღეებში უფრო ცოტა ხნით ვაგრილებდით კვერცხებს, შემდეგ კი, როცა ჩანასახები წამოიზარდნენ და უფრო მეტ ჰაერს საჭიროებდნენ სუნთქვისათვის, ჩვენც უფრო მეტ ხანს ვაგრილებდით.

რადგან გვანტერესებდა, თუ როგორ ვითარდებოდა ჩანასახი, გადავწყვიტეთ, კვერცხები დროდადრო გავგეტეხა და ამოგველო ჩანასახები. ასეც მოვიქცეთ: დაახლოებით ორ დღეში ერთხელ თითო კვერცხს ვტეხდით, ამოვიღებდით ჩანასახს, წყალს გადავაჯვლებ-



დით და ფორმალინის ხსნარში ჩავდებდით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვხედავდით, თუ ჩანასახი თანდათან როგორ ემსგავსებოდა წიწილას.

გადაწყვეტილი გვქონდა, ერთი ჩანასახის განვითარება ბოლომდის მიგვეყვანა და ცოცხალი წიწილა მიგვეღო. ამიტომ დავიტოვეთ ერთი კვერცხი. მეოცე დღის მიწურულში კვერცხიდან მოგვესმა სუსტი წივილი. ცხადი იყო, რომ წიწილა ცოცხალი იყო და გამოტეხას ცდილობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვერცხის ნაჭუჭი ერთ ადგილას ოდნავ გაიბზარა, მალე ბზარმა იმატა და ახლა ამკარად ჩანდა წიწილის ნისკარტი, რომელსაც ის დაყინებით უხახუნებდა ნაჭუჭს შიგნიდან და ნაპრალს თანდათან აღიდებდა. ოცდამეერთე დღეს ნაჭუჭის ნაპრალი იმდენად გადიდდა, რომ წიწილამ უკვე გაითავისუფლა თავი. ის იმდენად სუსტი იყო, რომ საცოდავად აქნევდა თავს, ლამობდა ადგომას, მაგრამ უძნელდებოდა. ჩვენ ის ორიოდე საათს დავტოვეთ თბილ ინკუბატორში, ღინლილი გაუმზრა, საამური ყვითელი ფერი მიიღო და ფუნთუშა წიწილას ახლა უკვე შეეძლო ფეხზე დგომა. ასე იშვა ჩვენი წიწილა.


ამ პატარა, ლამაზ არსებას ზრუნვას არ ვაკლებდით. პირველი ჩვენი საზრუნავი იყო უხვად მიგვეცა წიწილისათვის საკვები, მაგრამ გაგვახსენდა, როგორც წიგნში ნიკოლოზი ცნობა, ისე მასწავლებლის ნათხრობი, რომ ახლად გამოჩეკილ წიწილას პირველ დღეს საკვები არ უნდა მიეცეს, მეორე დღეს შეიძლება მიეცეს, მაგრამ მოხარშული კვერცხის გული, წვრილად დაფხვნილი. საკვებზე ზრუნვა მეორე დღისთვის გადავდეთ, ახლა კი შევეუდექით წიწილისათვის ბინის კეთებას. წიწილების ასეთ საცხოვრებელ ბინას ბრუდერს უწოდებენ. ჩვენი ბრუდერი ძალიან მარტივი აგებულებისა იყო. ის წარმოადგენდა ხის უპრალე ყუთს, რომლის ფართობიც 1 კვადრატულ მეტრს უდრიდა. გვერდის კედლების სიმაღლე 10 სანტიმეტრს აღწევდა, რომ წიწილას გადმოხტომა არ შესძლებოდა. ეს ყუთი შევეუდგით ელნათურის ჩვეულებრივ აბაჟურს ისე, რომ აბაჟურის ფოჩები ოდნავ სწვდებოდა ყუთის ფსკერს. ამ მოწყობილობას ჩვენი წიწილისათვის კრუხის მავიჯრობა უნდა გავწია.

ცნობილია, რომ წიწილას ძალიან უყვარს სითბო, ჩვენმა წიწილამაც, როგორც კი მოვათავსეთ ბრუდერში, აბაჟურისაკენ მიამუშრა, გაეხახუნა აბაჟურის ფოჩებს და მოთავსდა შიგნით. ეტყობოდა ელნათურით გამთბარი ჰაერიც ძალიან ესიამოვნა. ჩვენ შემდეგ შევნიშნეთ, რომ მას აგრეთვე ძალიან სიამოვნებდა აბაჟურის ფოჩების ხახუნი. ალბათ, დედის ბუმბულად ეჩვენებოდა.

წიწი პირველ ხანს იშვიათად გამოდიოდა გარეთ. მალე მიეგაგენით წიწილას გამოტყუების ხერხს: როგორც ვი დაგაკაკუნებდით ბრუდერის იატაკზე, ის მაშინვე გამოხტებოდა ბრუდერიდან: კაკუნი, ალბათ, კრუხის ძახილად ეჩვენებოდა. ჩვენც იქვე დავახვედრებდით საკენკს, ღომის მარცვლებს, რომლებსაც ის მშვენივრად შეეჭეოდა.

წიწი ახლა უკვე 3 თვისაა და თვის ტოლ-ამხანაგებთან ერთად თამაშად დასერილობს კარ-მიდამოში, ქეჩავს მიწას და კია-ლუას დაეძებს.

### 3. მებრეველი



# კურდღლების სიმბდალე



## ი გ ა ვ ი

ერთხელ ერთი კურდღელი შეეკითხა ლომს:

- ამბობენ, ლომებს მამლის ყივილის ემინიანთო. მართალია?
- კი, — უპასუხა ლომმა, — ყოველ დიდ ცხოველს პატარა, სუსტი მხარე აქვს. აი, სპილოსთვისაც ლორის ღრუტუნი არასასიამოვნოა.
- ახლა კი გასაგებია, — სთქვა კურდღელმა, — თუ ჩვენ, კურდღლებს, ძაღლების რატომ გვემინია.

თარგმანი შ. აშიკანაშვილისა

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

- |  |   |
|--|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. პატარამ და კუჭიანმა მთელი მინდორი გადაირბინა, შინ მიირბინა და მთელი წლით მიიძინა.</li> <li>2. შეკრული და შებოჭილი ოთახში დარბის.</li> <li>3. სახლში საკმელია, კარები დაკეტილია.</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>4. სვამენ და ჭამენ ბავშვები, სუფრაზე კი არ მოაქვთ.</li> <li>5. წყალში ჩადის წითელი, წყლიდან ამოდის შავი.</li> <li>6. თორმეტი ძმაა, ერთად ცხოვრობენ, ერთმანეთს ვერ ხედავენ.</li> <li>7. წყალში დაიბადა, წყლის კი ეშინია.</li> </ol> |
|--|---|

## შ ი ნ ა ა რ ს ი

<p>ბ. ბეთანელი — მფრინავები (ლექსი) . . . . . 1</p> <p>მ. კეკელიძე — ძვირფასი ტვირთი (მოთხრობა) . . . . . 2</p> <p>თ. ჯანგულაშვილი — არწივები (ლექსი) . . . . . 4</p> <p>გ. ცეცხლაძე — ბალადა ძეგლის შესახებ . . . . . 5</p> <p>ა. ფადევი — ახალგაზრდა გვარდია (ნაწყვეტი) . . . . . 6</p> <p>მ. ლებანიძე — მეთორმეტე (ბალადა) . . . . . 11</p> <p>ი. მჭედლიშვილი — ბუნების წიაღში (მოთხრობა) . . . . . 13</p> <p>ნ. ნადაშვილი — მოსავლის ნამბობი (ლექსი) . . . . . 14</p>	<p>გვ.</p> <p>მ. მრევლიშვილი — მგზავრული (ლექსი) . . . . . 15</p> <p>პიონერული მატრიანე . . . . . 16-17</p> <p>კ. მესხი — გამარჯვების გზაზე (მოთხრობა) . . . . . 18</p> <p>ე. ქურდიანი — ჩემო პატარა თოლიავ! (ლექსი) . . . . . 20</p> <p>მ. აღამია — ჭკვიანი მასპინძლები (ნარკვევი) . . . . . 21</p> <p>შ. ჭოჭუა — ჩვენი რკინიგზა (ნარკვევი) . . . . . 24</p> <p>კ. გოგიაშვილი — მოხარდ მაყურებელთა თეატრი . . . . . 27</p> <p>პ. მეტრეველი — ჩვენი წიწა (ნორჩი ნატურალისტის კუთხე) . . . . . 30</p> <p>კურდღლების სიმბდალე (იგავი) . . . . . 32</p> <p>გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.</p> <p>შენაწერი გაფრენა (დასასრული) გარეკანის მე-4 გვ.</p>
---	---

გარეკანზე ალ. გოგოლაშვილის ნახატი „პიონერები ჩაის კრეფაზე“

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე, ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, გ. კაჭახიძე (პ/მგ. რედაქტორი), ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

უფ 10154. ტირაჟი 7000, გამომც. შეკვ. № 83, სტამბის შეკვეთა № 1085, ბერიას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28. ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ საგემოვნო სამინისტროს ლითოგრაფიაში.

# გასართობი



## ცხენის სვლით

	საბ	ტურ	რე	დრო	
ვერთ	ვა	თა	ნავ	ღი	კვე
ჭო	იღ	მხა	ფა	ო	შა
ქდ	ქართ	ნა	პავ	ყა	სა
ხი	რე	გო	გვა	ღაბ	აყ
	თის	ნე	ო	პით	

ცხენის სვლით წაიკითხეთ აღნიშნულ უჯრედებში მოთავსებული მარცვლები ისე, რომ მიიღოთ საბჭოთა საქართველოს ჰიმნის უკანასკნელი ტაეპი.

## ამოცანა

№ 1

დღის რა ნაწილია გასული, თუ ორი მეცამედი იმისა, რაც გავიდა, ორჯერ ნაკლებია იმაზე, რაც დღე-ღამის დამთავრებამდე არის დარჩენილი?

## ამოცანა

№ 2

მე ახლა ორჯერ მეტი ხნისა ვარ, ვიდრე შენ იყავი მაშინ, როცა მე ვიყავი იმდენის, რამდენისაც შენ ახლა ხარ. როცა შენ გახდები იმდენი წლის, რამდენისაც მე ახლა ვარ, მაშინ ჩვენ ორივე ერთად 63 წლის ვიქნებით. რამდენი წლის ვარ მე და რამდენის შენ?

## გამოცანა ბოქლომეზე


სამმა პიონერმა საზიაროდ ერთი ნავი შეიძინა სავარჯიშოდ. ნავი ნაპირზე მიაბეს და საკეტი დაადეს. ნავით რომ ერთიმეორისაგან დაშოუკიდებლად ესარგებლათ, კარგი იყო ჰქონოდათ ერთი ბოქლომი და ამ ბოქლომის სამი გასაღები, მაგრამ თითოეულმა მათგანმა თავისი ბოქლომი მოიტანა და სამი ბოქლომი

დაადეს ბოძზე მიბმულ ნავს. მაშასადამე, ნავით სარგებლობისათვის თითოეული მათგანი თავის ბოქლომს ალებდა. რანაირად იყო დაღებული ბოქლომები?

პასუხი შურნალ „პიონერის“ № № 2, 3

და 6-ში მოთავსებულ გამოცანეზე

გამოცანა (№ 2)



ალ. საჩინოლის გამოცანეზი (№ 3)

1. ბულბული,
2. პეპელა,
3. სალამური,
4. გემი.


გამოცანა (№ 6)

ქვედა ოთხი სტრიქონი ჩასვით ზედა ოთხ სტრიქონში თანმიმდევრულად და მიიღებთ:




3 58/31 24/67


# უცნაური გაფრენა



9. ზღვაზე იფრინა, ართობდა  
ტალღების შუქი მკრთალი...  
ბოლოს გამოჩნდა ქალაქი —  
ტურფა აქარის თვალში.  
სიბლავს ბაღები მეტად,  
რა ქალაქია, ნეტავ?



10. ლისს გასცდა, ქართლს გადახედა  
გაბრწყინებული სახით.  
ამაღლებული იხილა  
ქვეყნის მნათობის სახლი.  
გორაკზე ციხეს ხედავ,  
რა ქალაქია, ნეტავ?



11. ბევრი რამ ნახა ზურიკომ  
სიტურფე ბევრი მხარის.  
ხან სიო მიაქროლებდა,  
ხან ტრამაღების ქარი.

ბიჭს უცნაურად გაფრენილს  
გზა არ ჰქონია მოკლე;  
ბოლოს ფერადი ბუშტები  
ნელნელა მოსწყდა თოკებს.

თანდათან ქვევით დაეშვა  
ცელქი ზურიკოც ფრთხილად  
უცებ ამღერდა,—ემა  
მშობელ ქალაქის სიღვა.

თავის ეზოში ჩაფრინდა,  
წინ მიეგება დედა..  
ტოლ-მეგობრებიც მოვიდნენ,  
გარშემო ვის არ ხედავს!

მკვირცხლსა და დაუზარებელს  
არ ემჩნეოდა დაღლა.  
ყველას უამბო: სად იყო,  
რა ქალაქები ნახა...

რა სთქვა, ნეტავი?! მკითხველო,  
მოდი, გვიამბე ახლა!

დექანი ზ. კაჭანძიძისა  
ნახატები მამთარაძისა და პირადლოვის